

სპორტშენსერვისი
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

ფინანსური ანგარიშგება და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა
31 დეკემბერი 2021

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა _____	1-4
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება _____	5
მოგება/(ზარალის) და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება _____	6
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება _____	7
ფულადი ნაკადების ანგარიშგება _____	8-9
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნება _____	10-36

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „სპორტმშენსერვისის“ მფლობელს და მენეჯმენტს

პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „სპორტმშენსერვისის“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, გარდა პირობითი მოსაზრების საფუძვლის აბზაცში ასახული საკითხების შესაძლო ეფექტისა, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს სტანდარტები“) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

2019 წელს 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის კომპანიამ შეცვალა სააღრიცხვო პოლიტიკა და გადავიდა ძირითადი საშუალებების აღრიცხვის გადაფასების მოდელზე. აღრიცხული შენობების (რომლებიც 2021 წლის 31 დეკემბერს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხულია 49,144,776 ლარად (2020: 48,755,541 ლარად)) გადაფასების მეთოდოლოგიაში გამოყენებული დაშვებების ანალიზისას ჩვენ დავადგინეთ, რომ გადაფასებისას გამოყენებული დაშვებების საფუძვლები არ არის სათანადოდ ჩამოყალიბებული და გამოყენებული მეთოდოლოგია არ არის დარგის საუკეთესო პრაქტიკების შესაბამისი. გამომდინარე იქედან, რომ ჩვენ ვერ დავადგინეთ პოტენციური ეფექტი სათანადო მეთოდოლოგიის გამოყენების შემთხვევაში, შესაბამისად ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებულია მისი შესაძლო გავლენის გამო მიმდინარე წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე და შესაძრის მონაცემებზე.

კომპანია იყენებს ძირითადი საშუალებების ამორტიზაციის წრფივ მეთოდს. 2019 წლის იანვარში კომპანიამ მოახდინა სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრისას გამოყენებული შეფასებების გადახედვა და შენობებზე ამორტიზაციის ნორმები შეიცვალა 2%-დან 0,2%-მდე. ჩვენ მენეჯმენტისაგან ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულება შენობების ამორტიზაციის ნორმის განსაზღვრისას გამოყენებული დაშვებების და შეფასებების შესახებ, ამასთან, ჩვენ ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ დავრწმუნდით, რომ გამოყენებული დაშვებები არის აქტივის საუკეთესო ეკონომიკური გამოყენებისა და დარგის საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისი. გამომდინარე იქედან, რომ ჩვენ ვერ დავადგინეთ პოტენციური ეფექტი სათანადო დაშვებების და შეფასებების გამოყენების შემთხვევაში, შესაბამისად ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებულია მისი შესაძლო გავლენის გამო მიმდინარე წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე და შესაძრის მონაცემებზე.

კომპანიის მიერ თელავსა და ბათუმში მდებარე სპორტული კომპლექსების მშენებლობაზე გაწეული დანახარჯების მოცულობა 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 45,047,332 ლარს (2020: 35,536,262 ლარი). კონტრაქტორთან არსებული გარკვეული კონფლიქტისა და ლონდონის საარბიტრაჟო სასამართლოში მიმდინარე დავის გამო პროექტი შეჩერებულია 2017 წლიდან და მასზე არ ჩატარებულა გაუფასურების ტესტირება პროექტის სიცოცხლისუნარიანობის შეფასების მიზნით. 2021 წლის ივნისში გამოცხადდა ლონდონის საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილება კონტრაქტორის სასარგებლოდ, მიღებული გადაწყვეტილების მიხედვით, კომპანიამ და საქართველოს სახელმწიფომ უნდა გადაუხადონ კონტრაქტორს გარკვეული თანხა, რომელიც წარმოადგენს კონტრაქტორის მიერ შესრულებული სამუშაოს ღირებულებას (და პროცენტს). კომპანიას არ უღიარებია ვალდებულება, რადგან საქართველოს სახელმწიფომ თავის თავზე აიღო აღნიშნული ვალდებულების დაფარვა, თუმცა არ არსებობს არანაირი ფორმალური შეთანხმება კომპანიასა და საქართველოს სახელმწიფოს შორის, კომპანიის მიერ სახელმწიფოს მიმართ, შესაძლო განსახორციელებელი გადახდების შესახებ, რომელიც სახელმწიფომ გადაიხადა ან მომავალში გადაიხდის კონტრაქტორის სასარგებლოდ აღნიშნული საარბიტრაჟო გადაწყვეტილების საფუძველზე. ჩვენ ვერ შევძელით დაგვედგინა გაუფასურების შესაძლო ზეგავლენა ან მოსალოდნელი განუზღვრელობა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ამ სამშენებლო პროექტზე, აქედან გამომდინარე ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებულია მისი შესაძლო გავლენის გამო მიმდინარე წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე და შესაძარის მონაცემებზე.

როგორც ეს ფინანსური ანგარიშგების მე-4 განმარტებით შენიშვნაშია ნაჩვენები, კომპანიას აქვს სავაჭრო მოთხოვნები 1,485,103 ლარის ოდენობით 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (2020: 1,069,663 ლარი) სავაჭრო მოთხოვნების აღრიცხვის დროს აუცილებელია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება და შესაბამისი გაუფასურების რეზერვის განსაზღვრა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი 9-ის („ფასს 9“) შესაბამისად. მიუხედავად ამისა გამოვლინდა, რომ კომპანიას არ განუსაზღვრავს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოცულობა ფასს 9-ის შესაბამისად სტანდარტის ძალაში შესვლის თარიღიდან. ჩვენ ვერ დავადგინეთ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოცულობა, და მისი შესაძლო ზეგავლენა, შესაბამისად ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებულია მისი შესაძლო გავლენის გამო მიმდინარე წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე და შესაძარის მონაცემებზე.

აუდიტი წარვმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის შემდეგ ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ დამოუკიდებლობის ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბესსს“) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის („ბესსს-ის ეთიკის კოდექსი“) შესაბამისად, და შესრულებული გვაქვს ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჭერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას, რომელიც შეტანილია 2021 წლის მმართველობის ანგარიშში. მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებას და აუდიტორის დასკვნას.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე (სხვა ინფორმაციაზე).

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება.

ჩვენ შევასრულეთ გარკვეული პროცედურები, რაც საჭიროა მმართველობის ანგარიშის შესაბამისობის შესახებ დასკვნის შესადგენად, „საქართველოს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტთან დაკავშირებით და ანგარიში ამ საკითხთან დაკავშირებით გამოვეცით ცალკე წერილით, რომელიც თარიღდება 2021 წლის 13 ივნისით.

ხელმძღვანელობის და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

კომპანიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ

გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ ვსწავლობთ აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

კომპანიის მართვის უფლებამოსილებით აღჭირვილ პირებს სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

2022 წლის 13 ივნისი

არესემ საქართველო

გარიგების პარტნიორი : პაატა ჩუბინიძე

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „სპორტმშენსერვისის“ მფლობელს და მენეჯმენტს

პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „სპორტმშენსერვისის“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, გარდა პირობითი მოსაზრების საფუძვლის აბზაცში ასახული საკითხების შესაძლო ეფექტისა, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს სტანდარტები“) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

2019 წელს 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის კომპანიამ შეცვალა სააღრიცხვო პოლიტიკა და გადავიდა ძირითადი საშუალებების აღრიცხვის გადაფასების მოდელზე. აღრიცხული შენობების (რომლებიც 2021 წლის 31 დეკემბერს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხულია 49,144,776 ლარად (2020: 48,755,541 ლარად)) გადაფასების მეთოდოლოგიაში გამოყენებული დაშვებების ანალიზისას ჩვენ დავადგინეთ, რომ გადაფასებისას გამოყენებული დაშვებების საფუძვლები არ არის სათანადოდ ჩამოყალიბებული და გამოყენებული მეთოდოლოგია არ არის დარგის საუკეთესო პრაქტიკების შესაბამისი. გამომდინარე იქედან, რომ ჩვენ ვერ დავადგინეთ პოტენციური ეფექტი სათანადო მეთოდოლოგიის გამოყენების შემთხვევაში, შესაბამისად ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებულია მისი შესაძლო გავლენის გამო მიმდინარე წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე და შესაძრის მონაცემებზე.

კომპანია იყენებს ძირითადი საშუალებების ამორტიზაციის ნორფივ მეთოდს. 2019 წლის იანვარში კომპანიამ მოახდინა სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრისას გამოყენებული შეფასებების გადახედვა და შენობებზე ამორტიზაციის ნორმები შეიცვალა 2%-დან 0,2%-მდე. ჩვენ მენეჯმენტისაგან ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულება შენობების ამორტიზაციის ნორმის განსაზღვრისას გამოყენებული დაშვებების და შეფასებების შესახებ, ამასთან, ჩვენ ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ დავრწმუნდით, რომ გამოყენებული დაშვებები არის აქტივის საუკეთესო ეკონომიკური გამოყენებისა და დარგის საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისი. გამომდინარე იქედან, რომ ჩვენ ვერ დავადგინეთ პოტენციური ეფექტი სათანადო დაშვებების და შეფასებების გამოყენების შემთხვევაში, შესაბამისად ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებულია მისი შესაძლო გავლენის გამო მიმდინარე წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე და შესაძრის მონაცემებზე.

THE POWER OF BEING UNDERSTOOD
AUDIT | TAX | CONSULTING

კომპანიის მიერ თელავსა და ბათუმში მდებარე სპორტული კომპლექსების მშენებლობაზე გაწეული დანახარჯების მოცულობა 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 45,047,332 ლარს (2020: 35,536,262 ლარი). კონტრაქტორთან არსებული გარკვეული კონფლიქტისა და ლონდონის საარბიტრაჟო სასამართლოში მიმდინარე დავის გამო პროექტი შეჩერებულია 2017 წლიდან და მასზე არ ჩატარებულა გაუფასურების ტესტირება პროექტის სიცოცხლისუნარიანობის შეფასების მიზნით. 2021 წლის ივნისში გამოცხადდა ლონდონის საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილება კონტრაქტორის სასარგებლოდ, მიღებული გადაწყვეტილების მიხედვით, კომპანიამ და საქართველოს სახელმწიფომ უნდა გადაუხადონ კონტრაქტორს გარკვეული თანხა, რომელიც წარმოადგენს კონტრაქტორის მიერ შესრულებული სამუშაოს ღირებულებას (და პროცენტს). კომპანიას არ უღიარებია ვალდებულება, რადგან საქართველოს სახელმწიფომ თავის თავზე აიღო აღნიშნული ვალდებულების დაფარვა, თუმცა არ არსებობს არანაირი ფორმალური შეთანხმება კომპანიასა და საქართველოს სახელმწიფოს შორის, კომპანიის მიერ სახელმწიფოს მიმართ, შესაძლო განსახორციელებელი გადახდების შესახებ, რომელიც სახელმწიფომ გადაიხადა ან მომავალში გადაიხდის კონტრაქტორის სასარგებლოდ აღნიშნული საარბიტრაჟო გადაწყვეტილების საფუძველზე. ჩვენ ვერ შევძელით დაგვედგინა გაუფასურების შესაძლო ზეგავლენა ან მოსალოდნელი განუზღვრელობა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ამ სამშენებლო პროექტზე, აქედან გამომდინარე ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებულია მისი შესაძლო გავლენის გამო მიმდინარე წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე და შესაძარის მონაცემებზე.

როგორც ეს ფინანსური ანგარიშგების მე-4 განმარტებით შენიშვნაშია ნაჩვენები, კომპანიას აქვს სავაჭრო მოთხოვნები 1,485,103 ლარის ოდენობით 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (2020: 1,069,663 ლარი) სავაჭრო მოთხოვნების აღრიცხვის დროს აუცილებელია მოსალოდნელი საკრედიტო ბარალის შეფასება და შესაბამისი გაუფასურების რეზერვის განსაზღვრა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი 9-ის („ფასს 9“) შესაბამისად. მიუხედავად ამისა გამოვლინდა, რომ კომპანიას არ განუსაზღვრავს მოსალოდნელი საკრედიტო ბარალის მოცულობა ფასს 9-ის შესაბამისად სტანდარტის ძალაში შესვლის თარიღიდან. ჩვენ ვერ დავადგინეთ მოსალოდნელი საკრედიტო ბარალის მოცულობა, და მისი შესაძლო ზეგავლენა, შესაბამისად ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებულია მისი შესაძლო გავლენის გამო მიმდინარე წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე და შესაძარის მონაცემებზე.

აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის შემდეგ ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბესსს“) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის („ბესსს-ის ეთიკის კოდექსი“) შესაბამისად, და შესრულებული გვაქვს ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჭერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას, რომელიც შეტანილია 2021 წლის მმართველობის ანგარიშში. მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებას და აუდიტორის დასკვნას.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს გემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე (სხვა ინფორმაციაზე).

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ გემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს გემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება.

ჩვენ შევასრულეთ გარკვეული პროცედურები, რაც საჭიროა მმართველობის ანგარიშის შესაბამისობის შესახებ დასკვნის შესადგენად, „საქართველოს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტთან დაკავშირებით და ანგარიში ამ საკითხთან დაკავშირებით გამოვეცით ცალკე წერილით, რომელიც თარიღდება 2021 წლის 13 ივნისით.

ხელმძღვანელობის და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

კომპანიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ

გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ ვსწავლობთ აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

კომპანიის მართვის უფლებამოსილებით აღჭირვილ პირებს სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

2022 წლის 13 ივნისი

არესემ საქართველო

გარიგების პარტნიორი : პაატა ჩუბინიძე

RSM Georgia

ს. ჩუბინიძე

შპს „სპორტმშენსერვისი“
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ქართულ ლარში

ლარი	შენიშვნა	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
ძირითადი საშუალებები	3	261,430,717	203,418,309
არამატერიალური აქტივები		10,267	13,388
სულ გრძელვადიანი აქტივები		261,440,984	203,431,697
საგადასახადო აქტივები	8	2,249,141	2,475,990
მარაგები		132,863	123,250
წინასწარ გაწეული ხარჯები		378	6,339
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4	1,489,571	29,442,980
ფული და ფულის ექვივალენტები	5	12,589,869	5,480,769
სულ მიმდინარე აქტივები		16,461,822	37,529,328
სულ აქტივები		277,902,806	240,961,025
კაპიტალი	6	186,440,491	186,379,624
დაგროვილი ზარალი		(2,906,697)	(3,526,302)
გადაფასების რეზერვი		21,959,921	22,193,279
სულ კაპიტალი		205,493,715	205,046,601
მიღებული სესხები	7	-	10,070,603
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		385,707	61,338
კაპიტალური ტრანსფერი	3	72,023,384	25,782,483
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		72,409,091	35,914,424
სულ ვალდებულებები		72,409,091	35,914,424
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		277,902,806	240,961,025

ფინანსური ანგარიშგება, მომზადებული 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2022 წლის 13 ივნისს.

დირექტორი: გერონტი ცინდელიანი _____
 ბუღალტერი: ცირა ცინცაძე _____

შპს „სპორტშენსერვისი“
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ქართულ ლარში

ლარი	შენიშვნა	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
ძირითადი საშუალებები	3	261,430,717	203,418,309
არამატერიალური აქტივები		10,267	13,388
სულ გრძელვადიანი აქტივები		261,440,984	203,431,697
საგადასახადო აქტივები	8	2,249,141	2,475,990
მარაგები		132,863	123,250
წინასწარ გაწეული ხარჯები		378	6,339
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4	1,489,571	29,442,980
ფული და ფულის ექვივალენტები	5	12,589,869	5,480,769
სულ მიმდინარე აქტივები		16,461,822	37,529,328
სულ აქტივები		277,902,806	240,961,025
კაპიტალი	6	186,440,491	186,379,624
დაგროვილი ზარალი		(2,906,697)	(3,526,302)
გადაფასების რეზერვი		21,959,921	22,193,279
სულ კაპიტალი		205,493,715	205,046,601
მიღებული სესხები	7	-	10,070,603
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		385,707	61,338
კაპიტალური ტრანსფერი	3	72,023,384	25,782,483
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		72,409,091	35,914,424
სულ ვალდებულებები		72,409,091	35,914,424
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		277,902,806	240,961,025

ფინანსური ანგარიშგება, მომზადებული 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.
ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2022 წლის 13 ივნისს.

დირექტორი: გერონტი ცინდელიანი

ბუღალტერი: ცირა ცინცაძე



შპს „სპორტმენსერვისი“

მოგება/(ზარალის) და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ქართულ ლარში

ლარი	შენიშვნა	2021	2020
შემოსავლები	9	3,259,221	1,556,734
გამომუშავებული შემოსავლის თვითღირებულება	10	(2,060,767)	(1,547,563)
მთლიანი მოგება		1,198,454	9,171
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	11	(2,607,773)	(2,355,897)
წმინდა ფინანსური შემოსავალი	12	571,272	574,846
წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი	14	1,457,652	1,355,618
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		619,605	(416,262)
მოგების გადასახადი	13	-	-
წმინდა მოგება /(ზარალი)		619,605	(416,262)
სხვა სრული შემოსავალი		(233,358)	-
სულ წლის სრული შემოსავალი		386,247	(416,262)

ფინანსური ანგარიშგება, მომზადებული 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2022 წლის 13 ივნისს.

დირექტორი: გერონტი ცინდელიანი _____
ბუღალტერი: ცირა ცინცაძე _____

შპს „სპორტმშენსერვისი“

მოგება/(ზარალის) და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ქართულ ლარში

ლარი	შენიშვნა	2021	2020
შემოსავლები	9	3,259,221	1,556,734
გამომჟღავნებული შემოსავლის თვითღირებულება	10	(2,060,767)	(1,547,563)
მთლიანი მოგება		1,198,454	9,171
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	11	(2,607,773)	(2,355,897)
წმინდა ფინანსური შემოსავალი	12	571,272	574,846
წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი	14	1,457,652	1,355,618
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		619,605	(416,262)
მოგების გადასახადი	13	-	-
წმინდა მოგება /(ზარალი)		619,605	(416,262)
სხვა სრული შემოსავალი		(233,358)	-
სულ წლის სრული შემოსავალი		386,247	(416,262)

ფინანსური ანგარიშგება, მომზადებული 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2022 წლის 13 ივნისს.

დირექტორი:

გერონტი ცინდელიანი

ბუღალტერი:

ცირა ცინცაძე



შპს „სპორტმშენსერვისი“

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ქართულ ლარში

ლარი	შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	(დაგროვილი ზარალი)	გადაფასები ს რეზერვი	სულ კაპიტალი
ბალანსი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		218,310,189	(3,110,040)	22,193,279	237,393,428
წლის მოგება/(ზარალი)		-	(416,262)	-	(416,262)
წლის სხვა სრული შემოსავალი		-	-	-	-
სულ წლის სრული შემოსავალი		-	(416,262)	-	(416,262)
კაპიტალის შემცირება	6	(31,930,565)	-	-	(31,930,565)
ბალანსი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		186,379,624	(3,526,302)	22,193,279	205,046,601
წლის მოგება / (ზარალი)		-	619,605	-	619,605
წლის სხვა სრული შემოსავალი		-	-	(233,358)	(233,358)
სულ წლის სრული შემოსავალი		-	619,605	(233,358)	386,247
კაპიტალის გაზრდა	6	60,867	-	-	60,867
ბალანსი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		186,440,491	(2,906,697)	21,959,921	205,493,715

ფინანსური ანგარიშგება, მომზადებული 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2022 წლის 13 ივნისს.

დირექტორი: გერონტი ცინდელიანი _____

ბუღალტერი: ცირა ცინცაძე _____

შპს „სპორტშენსერვისი“

გაერთიანებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

ლარი	შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	(დაგროვილი ზარალი)	გადაფასები ს რეზერვი	სულ კაპიტალი
ბალანსი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		218,310,189	(3,110,040)	22,193,279	237,393,428
წლის მოგება/(ზარალი)		-	(416,262)	-	(416,262)
წლის სხვა სრული შემოსავალი		-	-	-	-
სულ წლის სრული შემოსავალი		-	(416,262)	-	(416,262)
კაპიტალის შემცირება	6	(31,930,565)	-	-	(31,930,565)
ბალანსი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		186,379,624	(3,526,302)	22,193,279	205,046,601
წლის მოგება / (ზარალი)		-	619,605	-	619,605
წლის სხვა სრული შემოსავალი		-	-	(233,358)	(233,358)
სულ წლის სრული შემოსავალი		-	619,605	(233,358)	386,247
კაპიტალის გაზრდა	6	60,867	-	-	60,867
ბალანსი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		186,440,491	(2,906,697)	21,959,921	205,493,715

ფინანსური ანგარიშგება, მომზადებული 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით,
ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2022 წლის 13 ივნისს.

დირექტორი:

გერონტი ცინდელიანი

ბუღალტერი:

ცირა ცინცაძე



შპს „სპორტმშენსერვისი“

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ქართულ ლარში

ლარი	შენიშვნა	2021	2020
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
წლის მოგება/(ზარალი)		619,605	(416,262)
<i>კორექტირებები:</i>			
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები	3	217,701	210,657
საეჭვო მოთხოვნების ანარიცხი / (ანარიცხის აღდგენა)		-	4,751
საპროცენტო შემოსავალი	5	(588,262)	(508,583)
უსასყიდლოდ მიღებული საქონელი	3	-	(1,182,911)
კურსთაშორის სხვაობის წმინდა (მოგება) / ზარალი		16,990	(66,263)
<i>ცვლილებები საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში:</i>			
ცვლილებები სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანებებში		19,557,279	(19,773,130)
ცვლილებები წინასწარ გაწეულ ხარჯებში		5,961	(2,786)
ცვლილებები მარაგებში		(9,613)	(17,756)
ცვლილებები საგადასახადო აქტივებში		226,849	(2,390,696)
ცვლილებები სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებებში		324,148	(61,043)
საოპერაციო საქმიანობიდან გენერირებული ფულადი სახსრები		20,370,658	(24,204,022)
მიღებულ სესხებზე გადახდილი პროცენტი	7	(183,612)	(39,911)
მიღებული პროცენტი		588,262	508,583
საოპერაციო საქმიანობიდან გენერირებული წმინდა ფულადი სახსრები		20,775,308	(23,735,350)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი სახსრები			
ძირითადი საშუალებების ქონების შეძენა	3	(49,914,905)	(13,215,161)
ძირითადი საშუალებების გასვლა	3	-	1,692
არამატერიალური აქტივების შეძენა		-	(2,542)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(49,914,905)	(13,216,011)
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი სახსრები			
სესხის აღება	7	-	9,977,772
კაპიტალური ტრანსფერის მიღება	3	46,240,901	25,632,483
სესხის გადახდა	7	(9,977,772)	-
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		36,263,129	35,610,255
ფული და ფულის ექვივალენტები 1 იანვრის მდგომარეობით	5	5,480,769	6,755,612
საკურსო ცვლილების ეფექტი ფულსა და ფულის ექვივალენტებზე	13	(14,432)	66,263
ფულისა და ფულადი ექვივალენტების წმინდა ცვლილება	5	7,123,532	(1,341,106)
ფული და ფულის ექვივალენტები 31 დეკემბრის მდგომარეობით		12,589,869	5,480,769

ფინანსური ანგარიშგება, მომზადებული 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2022 წლის 13 ივნისს.

შპს „სპორტმენსერვისი“

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ქართულ ლარში

დირექტორი:

გერონტი ცინდელიანი

ბუღალტერი:

ცირა ცინცაძე

შპს „სპორტმშენსერვისი“

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ქართულ ლარში

დირექტორი:

გერონტი ცინდელიანი

ბუღალტერი:

ცირა ცინცაძე



შპს „სპორტმშენსერვისი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

1. ანგარიშის წარმდგენი პირი

(ა) ორგანიზაცია და საქმიანობა

შპს „სპორტმშენსერვისი“ (კომპანია) არის საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად საქართველოში დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. კომპანია დაარსდა 1999 წლის 22 ოქტომბერს. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 204878542. კომპანიის რეგისტრირებული მისამართია საქართველო, ქ. თბილისი, ვაკის რაიონი, ილია ჭავჭავაძის გამზ., №49ა.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია სახელმწიფო (203840433) ხოლო წილის მმართველი საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო.

კომპანიის ძირითად საქმიანობად განისაზღვრა:

✓ სპორტული ბაზების მოდერნიზაცია, გადაიარაღება, გადაფორმება და კაპრემონტის სამუშაოების ჩატარება;

✓ სპორტული ბაზების პასპორტიზაცია;

✓ სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის სისტემის სპორტული ბაზების ინვენტარიტა და მოწყობილობებით მომარაგების ცენტრალიზებული უზრუნველყოფა;

✓ საქართველოს ნაკრები გუნდების უზრუნველყოფა, სპორტული ფორმებით, ატრიბუტიკით, სპორტული ინვენტარით და მივლინებებით;

✓ სპორტული დელეგაციების მიღება გამგზავრების უზრუნველყოფა ვიზებით ტრანსპორტით და სხვა მომსახურებით;

✓ ბალანსზე რიცხული შენობა-ნაგებობების ეფექტური ექსპლუატაცია, ფასიანი მომსახურების გაუმჯობესება, სოციალურ-კულტურული დანიშნულების ობიექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა და მშენებლობა;

✓ კომუნალური მომსახურების საკითხების მოგვარება, ექსპლუატაციის წესების დაცვა, საინჟინრო-ტექნიკური სამსახურის მუშაობის კორდინაცია და კონტროლი;

✓ სპორტულ-გამაჯანსაღებელი ტურისტული საქმიანობის წარმოება.

(ბ) საქართველოს ბიზნეს გარემო

კომპანიის საქმიანობა ხორციელდება საქართველოს ტერიტორიაზე. შესაბამისად, კომპანია დამოკიდებულია საქართველოს ეკონომიკურ და ფინანსურ ბაზრებზე, რომლებიც ხასიათდება განვითარებადი ბაზრის მახასიათებლებით. იურიდიული, საგადასახადო და მარეგულირებელი სტრუქტურები განაგრძობენ განვითარებას, მაგრამ ექვემდებარებიან სხვადასხვა ინტერპრეტაციებს და ხშირ ცვლილებებს, რომლებიც, სხვა სამართლებრივ და ფისკალურ დაბრკოლებებთან ერთად, დამატებით გამოწვევებს უქმნიან საქართველოში მოქმედ იურიდიულ პირებს. წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის შეფასებას, საქართველოს ბიზნეს გარემოს ზეგავლენის შესახებ, კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე. მომავალი ბიზნეს გარემო შეიძლება განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებისგან.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკისა და შეფასების მეთოდების შეჯამება

მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბასს“) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) თანახმად, რომლებიც ძალაშია 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები (მაგ: გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით). ისტორიული ღირებულება ზოგადად დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად ან გადაიხდება ვალდებულების გასტუმრების შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში, შეფასების თარიღისთვის. როდესაც ხდება აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულებით შეფასება, კომპანია იყენებს ბაზარზე გავრცელებულ მონაცემებს, რამდენადაც ისინი ხელმისაწვდომია. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების პირდაპირ დადგენა, კომპანია ახორციელებს მის შეფასებას (გარე კვალიფიციურ შემფასებლებთან მჭიდრო თანამშრომლობით) ისეთი შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელიც მაქსიმალურად იყენებს შესაბამის საბაზრო მონაცემებს და მინიმალურად იყენებს არა საბაზრო მონაცემებს (მაგ: საბაზრო შედარებითი მიდგომის გამოყენებით, რომელიც ასახავს მსგავსი ინსტრუმენტების უახლესი ტრანზაქციის ფასებს, დისკონტირებული ფულის ნაკადის ანალიზით). მონაცემები შეესაბამება აქტივის/ვალდებულების მახასიათებლებს, რომლებსაც გაითვალისწინებდნენ ბაზრის მონაწილეები.

სამართლიანი ღირებულება იყოფა სამართლიანი ღირებულების იერარქიის სხვადასხვა დონის კატეგორიებად იმის მიხედვით, თუ რამდენად ხელმისაწვდომია შეფასებისთვის საჭირო მონაცემები და მონაცემთა მნიშვნელობა სამართლიანი ღირებულებით შეფასების პროცესში, მთლიანობაში:

- დონე 1 - სამართლიანი ღირებულება გამოითვლება იდენტური აქტივების ან ვალდებულებების შეფასებით მოქმედ ბაზრებზე კოტირებული (არაკოტირებული) ფასებით.
- დონე 2 - სამართლიანი ღირებულება გამოითვლება სხვა მდგენელების მიხედვით, გარდა დონე 1-ში გათვალისწინებული კოტირებული ფასებისა, რომლებიც ფიქსირდება აქტივისა და ვალდებულებისათვის ან პირდაპირი სახით (მაგ: ფასების სახით) ან არაპირდაპირი სახით (მაგ: ფასებიდან გამოთვლილი მონაცემების სახით)
- დონე 3 – სამართლიანი ღირებულება გამოითვლება შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელიც მოიცავს აქტივების ან ვალდებულებების მონაცემებს, რომლებიც არ ეყრდნობა საბაზრო ფასებს (არასაბაზრო მონაცემები).

შპს „სპორტშენსერვისი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი („ლარი“), რომელიც კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს.

ახალი და შესწორებული სტანდარტების გამოყენება

2021 წლის 1 იანვრის შემდეგ შევიდა ძალაში რამდენიმე ახალი სტანდარტი და ინტერპრეტაცია, თუმცა არცერთი მათგანი არსებით გავლენას არ ახდენს ორგანიზაციის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

კომპანიას არ დაუწერგავს ახალი და შესწორებული სტანდარტები ან ინტერპრეტაციები, რომლებიც მიმდინარე ანგარიშგების პერიოდისათვის არ იყო სავალდებულო.

ახალი და შესწორებული სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული

ორგანიზაციის ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღამდე, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბასს“) მიერ გამოცემა გარკვეული ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და ცვლილებები არსებულ სტანდარტებში, რომლებიც ძალაში შედის მომდევნო საანგარიშგებო პერიოდებში და რომლებზეც ორგანიზაციამ გადაწყვიტა არ მიეღო ნაადრევად.

ფასს 17 - „სადაზღვევო ხელშეკრულებები“- (გამოცემულია 2017 წლის 18 მაისს, ძალაში შედის 2021 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის). ფასს 17-ით ჩანაცვლდა ფასს 4, რომელიც კომპანიებს აძლევდა თავისუფლებას, გაეგრძელებინათ სადაზღვევო ხელშეკრულებების აღრიცხვის წარმოება არსებული პრაქტიკის მიხედვით. შედეგად, ინვესტორებისათვის რთული იყო სხვაგვარად მსგავსი სადაზღვევო კომპანიების ფინანსური საქმიანობის შედეგების შედარება. ფასს 17 არის ერთ პრინციპზე დაფუძნებული სტანდარტი ყველა ტიპის სადაზღვევო ხელშეკრულებების აღრიცხვისათვის, მათ შორის მზღვეველის მიერ ფლობილი სადაზღვევის ხელშეკრულებებისათვის.

2022 წლის 1 იანვრიდან ძალაში შედის შემდგომი შესწორებები:

- ნაგებიანი ხელშეკრულებები - ხელშეკრულების შესრულების ღირებულება (ბასს 37-ის ცვლილებები);
- ძირითადი საშუალებები: შემოსავალი მიზნობრივ გამოყენებამდე (ბასს 16-ის ცვლილებები);
- ფასს სტანდარტების წლიური გაუმჯობესება 2018-2020 (ცვლილებები ფასს 1, ფასს 9, ფასს 16 და ბასს 41 სტანდარტებში); და
- კონცეპტუალური მიდგომა (ფასს 3-ის ცვლილებები).

სხვა

ორგანიზაციას არ გააჩნია მოლოდინი, რომ ბასს-ის მიერ გამოშვებული სხვა რომელიმე სტანდარტს, რომელიც ჯერ არ არის ძალაში შესული, ექნება არსებითი გავლენა მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

2.1. სააღრიცხვო პოლიტიკა

(ა) ძირითადი საშუალებები

i. აღიარება და შეფასება

თავდაპირველი აღიარების დროს, ძირითადი საშუალებები აღიარდება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანას და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, ასევე აქტივის დემონტაჟის და ადგილმდებარეობის აღდგენის დანახარჯების თავდაპირველ შეფასებას. შეფასებითი დანახარჯები აისახება რეზერვის სახით. იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალების ჯგუფი მოიცავს კომპონენტებს, რომელთა გამოყენების ვადა და ექსპლუატაციის პერიოდი განსხვავდება, ისინი აღიარებულიან ცალ-ცალკე როგორც ძირითადი საშუალების ცალკეული კომპონენტები. შემდგომი შეფასება ხდება გადაფასებული ღირებულებით (გარდა დაუმთავრებელი მშენებლობებისა), რომელიც გადაფასების მომენტისათვის არსებული აქტივის რეალური ღირებულების ტოლია, შემდგომში დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის თანხების გამოკლებით. გადაფასება რეგულარულად ტარდება იმისათვის, რომ აქტივის საბალანსო ღირებულება არსებითად არ განსხვავდებოდეს მისი რეალური ღირებულებისაგან, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

გადაფასების სიხშირე დამოკიდებულია ძირითადი საშუალებების რეალური ღირებულების ცვლილებებზე. როდესაც გადაფასებული აქტივის რეალური ღირებულება არსებითად განსხვავდება მისი საბალანსო ღირებულებისაგან, აუცილებელია მისი შემდგომი გადაფასება. ზოგიერთი აქტივისათვის, რომელთა რეალური ღირებულება სწრაფ და მნიშვნელოვან ცვლილებებს განიცდის, აუცილებელია ყოველწლიური გადაფასება. შედარებით სტაბილური საბაზრო ფასების მქონე აქტივებისათვის, ისეთებისათვის, როგორსაც კომპანია ფლობს, საკმარისია გადაფასების ჩატარება სამ-ხუთ წელიწადში ერთხელ.

როდესაც გადაფასების შედეგად აქტივის საბალანსო ღირებულება იზრდება, ნამეტი აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში და გროვდება საკუთარი კაპიტალის განყოფილებაში „გადაფასების ნამეტის“ სახელწოდებით. ამასთან, გადაფასების ნამეტი მოგებაში ან ზარალში აღიარდება იმ ოდენობით, რამდენიც საჭიროა იმავე აქტივის ჩამოფასების თანხის საკომპენსაციოდ, რომელიც ადრე მოგებაში ან ზარალში აღიარდა.

თუ აქტივის გადაფასების შედეგად მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება, ეს შემცირება აღიარდება მოგებაში ან ზარალში. ამასთან, შემცირების თანხა აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში იმ ოდენობით, რა სიდიდის საკრედიტო ნაშთიც არსებობს გადაფასების ნამეტში ამ აქტივთან დაკავშირებით. სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული შემცირების თანხა ამცირებს საკუთარი კაპიტალის განყოფილებაში „გადაფასების ნამეტის“ სათაურის ქვეშ დაგროვილ თანხას.

ძირითადი საშუალების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივის გამოყენებით. ძირითადი საშუალების გაყიდვის ან ხმარებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი

შპს „სპორტმშენსერვისი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგებასა ან ზარალში.

ii. შემდგომი ხარჯები

ძირითადი საშუალებების ერთეულის ჩანაცვლების ღირებულება აღიარდება ერთეულის საბალანსო ღირებულებით, თუ იგი უზრუნველყოფს მოსალოდნელი მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემოსვლას კომპანიაში და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ შეფასება. ჩანაცვლებული კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ძირითადი საშუალებების მოვლა-შენახვის ყოველდღიური ხარჯები განეცხადება აისახება მოგება ან ზარალში.

iii. ცვეთა

ძირითადი საშუალებების ცვეთის დარიცხვის დაანგარიშება ხდება მათი დამონტაჟებისა და გამოყენების მზადყოფნაში მოსვლის დღიდან. რაც შეეხება კომპანიის მიერ აშენებულ აქტივებს, მათი ცვეთის დაანგარიშება ხდება აქტივების საბოლოო მდგომარეობამდე მიყვანის და მათი გამოყენებისთვის მზაობის დღიდან.

ცვეთა აისახება მოგება ან ზარალში, წრფივი მეთოდის გამოყენებით, ძირითადი საშუალებებისათვის განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, ვინაიდან ეს საუკეთესოდ წარმოაჩენს აქტივში განივთებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარებას. იჯარით აღებულ აქტივებზე ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის ან იჯარის ხანგრძლივობის მიხედვით უმცირესით, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც გონივრულ ფარგლებში სარწმუნოა, რომ საკუთრების უფლების მოპოვება კომპანიის მიერ მოხდება იჯარით აღებულ აქტივზე. მიწას ცვეთა არ ერიცხება.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხორციელდება ცვეთის გაანგარიშების მეთოდების, სასარგებლო მომსახურების ვადის და ნარჩენი ღირებულების გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში, მათი კორექტირება.

ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის მიმდინარე სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადები შემდეგია:

- შენობები - 0,2%
- მანქანა-დანადგარები - 2%-5%
- ოფისის აღჭურვილობა - 5%
- სატრანსპორტო საშუალებები - 15%
- ავეჯი და სხვა ინვენტარი - 2%

(ბ) არამატერიალური აქტივები

ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები

ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას ფასდება თვითღირებულებით. რაც მოიცავს მისი შესყიდვის ფასს.

შპს „სპორტმშენსერვისი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

არამატერიალურ აქტივებს აქვს განსაზღვრული სასარგებლო გამოყენების ვადა და უმთავრესად მოიცავს კაპიტალიზირებულ კომპიუტერულ პროგრამებს და ტურნიკეტის პროგრამებს.

შეძენილი კომპიუტერული პროგრამების ლიცენზიები კაპიტალიზდება კონკრეტული პროგრამული უზრუნველყოფის შეძენაზე და სასარგებლო მდგომარეობაში მოყვანაზე განეული ხარჯების საფუძველზე. განვითარების ხარჯები, რომელიც უშუალოდ უკავშირდება იდენტიფიცირებულ და უნიკალურ პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელსაც კომპანია აკონტროლებს, აისახება არამატერიალურ აქტივად, თუ ითვლება, რომ მათთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის ჯამი აღემატება ხარჯებს. კაპიტალიზირებული დანახარჯები მოიცავს პროგრამული განვითარების გუნდის საშტატო დანახარჯებს და ზედნადები ხარჯების შესაბამის ნაწილს.

კომპიუტერულ პროგრამებთან დაკავშირებული სხვა ყველა ხარჯი, მაგალითად მათი ტექნიკური მომსახურება, აღირიცხება ამგვარი ხარჯების გაღებისას.

არამატერიალური აქტივის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მისი გამოყენებით ან გასხვისებით სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება. სხვაობა გასხვისების შედეგად მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის აღიარდება იმ წლის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც შეწყდა აქტივის აღიარება.

ამორტიზაცია

განსაზღვრული სასარგებლო ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია წარმოებს იმგვარად, რომ მოხდეს აქტივის თვითღირებულების ჩამოწერა გამოთვლილი ნარჩენი ღირებულების გამოკლებით, მისი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდის გამოყენებით 15%-იანი ამორტიზაციის ნორმით.

განუსაზღვრელი სასარგებლო ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია არ წარმოებს, მაგრამ ისინი ექვემდებარებიან გაუფასურებისთვის შემოწმებას, როგორც ეს დადგენილია ქვემოთ.

(გ) არაფინანსური აქტივების გაუფასურება

განსაზღვრული სასარგებლო ვადის მქონე ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების გაუფასურება

აქტივების საბალანსო ღირებულება თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს შემოწმდება გაუფასურებაზე და აქტივის გაუფასურების შემთხვევაში, ჩამოიწერება ანაზღაურებად ღირებულებამდე, მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. ანაზღაურებადი ღირებულება არის უდიდესი აქტივის გამოყენების ღირებულებასა და რეალიზაციის დანახარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებას შორის. ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება ინდივიდუალურად აქტივისთვის, იმ შემთხვევაში თუ აქტივი წარმოქმნის ფულად სახსრებს სხვა აქტივებისგან ან აქტივთა ჯგუფისგან დამოუკიდებლად. ხოლო თუ აქტივი წარმოქმნის ფულად სახსრებს სხვა აქტივებთან ან აქტივთა ჯგუფთან ერთად, მაშინ ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულისთვის, რომელზეც მიბმულია აქტივთა ჯგუფი.

შპს „სპორტმშენსერვისი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

გამოყენების ღირებულება არის აქტივის/ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის მომავალში გამოყენების შედეგად მისაღები ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულება. მიმდინარე ღირებულება გამოითვლება დაბეგვრამდე დისკონტირებული განაკვეთებით, რომლებიც ასახავენ დროში ფულის ღირებულების ცვლილებას და გარკვეულ აქტივთან/ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულთან დაკავშირებულ რისკებს, რომლის გაუფასურების შეფასებას აქვს ადგილი.

განუსაზღვრელი სასარგებლო ვადის მქონე არამატერიალური აქტივების გაუფასურება

მიუხედავად იმისა, არის თუ არა გაუფასურების ნიშნები, ყოველწლიურად, ან უფრო ხშირად ხდება ასეთი აქტივების გაუფასურებაზე შემოწმება, თუ მოვლენები ან ცვლილებები გარემოებებში მიუთითებს, რომ შესაძლოა ადგილი ჰქონდეს გაუფასურებას.

(დ) ფინანსური ინსტრუმენტები

(დ-ა) ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები ბასს 39-ის მიხედვით კლასიფიცირდება, როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი მოგებასა ან ზარალში, სესხები და მოთხოვნები, დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები, ან გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები. კომპანია განსაზღვრავს მისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას თავდაპირველი აღიარებისას.

ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივების გაუფასურება

გაუფასურების ზარალი აღირიცხება მოგება-ზარალში, როდესაც იგი წარმოიქმნება ერთი ან მეტი შემთხვევის დადგომის შედეგად (“ზარალის შემთხვევები”), რომლებიც მოხდა ფინანსური აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდეგ და რომლებიც გავლენას ახდენს ფინანსური აქტივის ან ფინანსური აქტივების ჯგუფის სავარუდო მომავალი ფულადი ნაკადების ოდენობაზე და დაფარვის დროზე, და რომლის საიმედოდ შეფასებაც შესაძლებელია. თუ კომპანია განსაზღვრავს, რომ არ არსებობს არანაირი ობიექტური საფუძველი იმისა, რომ მოხდა გაუფასურება (მნიშვნელოვანი ან უმნიშვნელო) ინდივიდუალურად შეფასებულ ფინანსურ აქტივზე, ის აქტივს მიაკუთვნებს მსგავსი საკრედიტო რისკ-მახასიათებლების მქონე ფინანსური აქტივების ჯგუფს და გაუფასურების თვალსაზრისით ერთობლივად აფასებს მათ. ძირითადი ფაქტორები, რომელთა მიხედვითაც კომპანია განსაზღვრავს, არის თუ არა ფინანსური აქტივი გაუფასურებული, არის მისი ვადაგადაცილების სტატუსი და შესაბამისი უზრუნველყოფის რეალიზებადობა, თუ ასეთი არსებობს.

ქვემოთ მითითებული სხვა ძირითადი კრიტერიუმები ასევე გამოიყენება იმის განსაზღვრისთვის, არსებობს თუ არა ობიექტური საფუძველი იმისა, რომ მოხდა გაუფასურება:

- კონტრაგენტი განიცდის მნიშვნელოვან ფინანსურ სირთულეებს,
- კონტრაგენტი განიხილავს გაკოტრებას ან ფინანსურ რეორგანიზაციას;

შპს „სპორტმშენსერვისი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

- არსებობს უარყოფითი ცვლილება კონტრაგენტის გადახდის სტატუსში ადგილობრივი ეკონომიკური პირობების შედეგად, რომლებიც გავლენას ახდენს მასზე;

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მაშინ, როდესაც: (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის; ან (ბ) იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მიღების უფლებას, ან შედის ისეთ გარიგებაში, როდესაც: (i) აქტივის გასვლასთან ერთად ხდება ყველა არსებითი რისკისა და სარგებლის კომპანიიდან გასვლა; ან (ii) კომპანია არ გადასცემს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ არსებით რისკსა და სარგებელს, მაგრამ ასევე არ ინარჩუნებს კონტროლს ამ აქტივზე. კონტროლის შენარჩუნება ხდება მაშინ, როდესაც კონტრაგენტს არ აქვს უფლება, გაყიდოს აქტივი მესამე არადაკავშირებულ მხარეზე, გაყიდვასთან დაკავშირებული დამატებითი შეზღუდვების გათვალისწინების გარეშე.

(დ-ბ) ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირებულია როგორც კომპანიის მიმართ არსებული ვალდებულებები. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით, შემცირებული ტრანზაქციების ხარჯებით. ფინანსური ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მხოლოდ მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად, ხოლო სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

(დ-გ) გადახურვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის გადახურული და ნეტო თანხითაა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს კანონიერი უფლება, რომ გადაიფაროს აღიარებული თანხები და კომპანიას აქვს განზრახვა ზემოთხსენებული თანხები წარადგინოს ნეტო თანხით ან გაყიდოს აქტივი და დაიფაროს ვალდებულება ერთდროულად.

(დ-დ) საპროცენტო შემოსავალი

საპროცენტო ამონაგები საწარმომ უნდა გამოითვალოს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, კერძოდ, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით ფინანსური აქტივის მთლიან (ბრუტო) საბალანსო ღირებულებასთან მიმართებაში, გარდა შემდეგი შემთხვევებისა:

შპს „სპორტმშენსერვისი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

ა) შეძენილი ან შექმნილი გაუფასურებული ფინანსური აქტივები. საწარმომ ამგვარი ფინანსური აქტივებისთვის, თავდაპირველი აღიარებისას უნდა განსაზღვროს საკრედიტო რისკით კორექტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთი და გამოიყენოს ფინანსური აქტივის ამორტიზებულ ღირებულებასთან მიმართებაში.

ბ) ფინანსური აქტივები, რომლებიც არ წარმოადგენს შეძენილ ან შექმნილ გაუფასურებულ ფინანსურ აქტივებს, არამედ შემდგომში გახდა საკრედიტო რისკის გავლენით გაუფასურებული ფინანსური აქტივები. ამგვარი ფინანსური აქტივების შემთხვევაში, საწარმომ, მომდევნო საანგარიშგებო პერიოდებში ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა გამოიყენოს ფინანსური აქტივის ამორტიზებულ ღირებულებასთან მიმართებაში.

(ე) ავანსები

ავანსები წარმოდგენილია გაუფასურების რეზერვით შემცირებული თვითღირებულებით. ავანსი კლასიფიცირებულია როგორც გრძელვადიანი, როცა ავანსთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურებები სავარაუდოდ მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან როცა ავანსი უკავშირდება აქტივს, რომელიც თვითონ კლასიფიცირებული იქნება როგორც გრძელვადიანი თავდაპირველი აღიარების შემდეგ. აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები აქტივად აღიარდება მას შემდეგ, რაც კომპანია მოიპოვებს აქტივზე კონტროლს და აშკარა გახდება რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი გადაეცემა კომპანიას. სხვა ავანსები ჩამოიწერება მოგებასა ან ზარალში, როცა ავანსთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურებები იქნება მიღებული. თუ არის მინიშნება, რომ ავანსთან დაკავშირებული აქტივები, საქონელი ან მომსახურებები არ იქნება მიღებული, ავანსის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება და შესაბამისად აღიარდება გაუფასურების შედეგად წარმოქმნილი ზარალი წლის მოგებასა ან ზარალში.

(ვ) ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს საბანკო ნაშთებსა და სხვა მოკლევადიან ლიკვიდურ ინვესტიციებს, რომლებიც ადვილად კონვერტირდება გარკვეული რაოდენობის ფულის სანაცვლოდ და ექვემდებარება ღირებულებაში ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

(ზ) კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი კლასიფიცირებულია როგორც კაპიტალი.

როდესაც საწესდებო კაპიტალი არაფულადი შენატანით იზრდება, ხდება შენატანის სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა შეტანის მომენტისათვის.

ანალოგიურად, როდესაც ხდება კაპიტალის გატანა არაფულადი გზით, ხდება აქტივის სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა გატანის მომენტისათვის.

(თ) დივიდენდის განაწილება

დივიდენდების კაპიტალში აღიარება ხორციელდება იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გამოცხადდა. საანგარიშო პერიოდის შემდეგ და ფინანსური ანგარიშგების გამოსაშვებად დამტკიცებამდე გამოცხადებული დივიდენდი აისახება შემდგომი მოვლენების განმარტებით შენიშვნაში.

შპს „სპორტმშენსერვისი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

(ი) მიღებული სესხები

თავდაპირველი აღიარებისას მიღებული სესხები აღიარდება მიღებული საზღაურის სამართლიან ღირებულებას დაკლებული ტრანზაქციის დანახარჯები. შემდგომი შეფასებისას მიღებული სესხები აღირიცხება ამორტიზებადი ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

(კ) უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის ქართული ლარი. უცხოურ ვალუტაში გამოხატული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტაში ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით, ანგარიშგების თარიღის მომენტისთვის. ტრანზაქციის თარიღის შემდეგ მომხდარი კურსთაშორის სხვაობის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

	აშშ დოლარი	ევრო
გაცვლითი კურსი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3.10	3.50
გაცვლითი კურსი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3.28	4.02
საშუალო გაცვლითი კურსი 2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის	3.22	3.81
საშუალო გაცვლითი კურსი 2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის	3.11	3.55

(ლ) მოგების გადასახდი

კომპანია მოგების გადასახადს განსაზღვრავს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება და რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 981-ე მუხლითა და 309-ე მუხლის 99-ე და 103-ე ნაწილებით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა). მოგების გადასახადის ვალდებულება გამოითვლება როგორც 15/85 განაწილებული დივიდენდის თანხიდან.

საგადასახადო დაბეგვრის სისტემის სპეციფიკურობიდან გამომდინარე საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს აღარ აქვთ დროებითი სხვაობები საგადასახადო კუთხით არსებულ აქტივებსა/ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის, შესაბამისად აღარ წარმოიქმნება გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი და ვალდებულება.

თავდაპირველი აღიარებისას გამონაკლისის შესაბამისად, გადავადებული გადასახადები არ აღირიცხება ტრანზაქციაში (რომელიც არ არის შერწყმა) აქტივებისა და პასივების თავდაპირველ აღიარებიდან გამომდინარე დროებით სხვაობებთან დაკავშირებით, თუ ტრანზაქცია თავდაპირველად აღიარებისას, გავლენას არ მოახდენს სააღრიცხვო მოგებასა თუ დასაბეგრ მოგებაზე.

შპს „სპორტმშენსერვისი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

(მ) შემოსავლები

i. ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

შემოსავალი აღიარდება კომპენსაციის იმ მოცულობით, რომლის მიღებასაც კომპანია ელის საქონლის მიწოდების ან/და მომსახურების გაწევის სანაცვლოდ. მომხმარებლებთან გაფორმებული თითოეული ხელშეკრულებისათვის კომპანია: ახდენს კონტრაქტის იდენტიფიცირებას; ახდენს შესასრულებელი ვალდებულებების იდენტიფიცირებას; ადგენს გარიგების ფასს, რომელშიც ითვალისწინებს როგორც ცვლად კომპენსაციებს, ასევე ფულის დროით ღირებულებას; ახდენს გარიგების ფასის განაწილებას შესასრულებელ ვალდებულებებზე; აღიარებს შემოსავალს იმ მომენტში, როდესაც ასრულებს გარიგებით დადგენილ შესასრულებელ ვალდებულებას.

ანაზღაურების ოდენობა შეიძლება იცვლებოდეს ფასდაკლების, სხვადასხვა სახის სპეციალური ფასდათმობის, ფულადი სახსრების დაბრუნების, კრედიტის, ფასის კონცესიის, მასტიმულირებელი ფასების, საქმიანობის შედეგებზე დაფუძნებული ბონუსების, ჯარიმების ან სხვა მსგავსი მუხლების შედეგად. დაპირებული ანაზღაურება შეიძლება იმ შემთხვევაშიც იცვლებოდეს, როდესაც საწარმოს უფლება ანაზღაურების მიღებაზე დამოკიდებულია სამომავლო მოვლენის მოხდენაზე ან არმოხდენაზე. მაგალითად, ანაზღაურების ოდენობა ცვალებადი იქნება, თუ პროდუქტი გაიყიდა უკან დაბრუნების უფლებით, ან ხელშეკრულებაში საქმიანობის შედეგის საფუძველზე ბონუსის სახით ფიქსირებული თანხაა გათვალისწინებული კონკრეტული ეტაპის დასრულებისთვის.

ii. შემოსავალი მომსახურების გაწვიდან

შემოსავალი კონტრაქტიდან, რომელიც ითვალისწინებს მომსახურების გაწევას, აღიარდება დროის განმავლობაში მომსახურების გაწევის მომენტში ფიქსირებული ფასით, ან საათობრივი განაკვეთის შესაბამისად.

iii. საიტარო შემოსავალი

საიტარო შემოსავალი იჭარის პერიოდის განმავლობაში აღიარდება წრფივი მეთოდის გამოყენებით.

(ნ) ხარჯები

ხარჯები აღიარდება დარიცხვის მეთოდის საფუძველზე, როდესაც შესაძლებელია დანახარჯის თანხის საიმედოდ შეფასება და მოსალოდნელია კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინება.

2.2. კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მენეჯმენტისგან მოითხოვს ფინანსურ ანგარიშგებებზე მოქმედი შეფასებებისა და დაშვებების მომზადებას. მენეჯმენტი მუდმივად აფასებს თავის განსჯებსა და შეფასებებს აქტივების, ვალდებულებების, პირობითი ვალდებულებების, შემოსავლისა და ხარჯების მიმართ. მენეჯმენტი თავის მოსაზრებებს, შეფასებებსა და მოსაზრებებს ეყრდნობა ისტორიულ გამოცდილებას და სხვა სხვადასხვა ფაქტორებს, მომავალი მოვლენების მოლოდინების ჩათვლით,

შპს „სპორტმშენსერვისი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ გონივრული უნდა იყოს ამ პირობებში. შედეგად მიღებული სააღრიცხვო გადაწყვეტილებები და შეფასებები შეესაბამება რეალურ შედეგებს.

ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა

კომპანია განსაზღვრავს სასარგებლო მომსახურების ვადას და მასთან დაკავშირებული ამორტიზაციისა და ამორტიზაციის საფასურებს მისი ქონების, მცენარეთა და აღჭურვილობისა და საბოლოო სიცოცხლის არამატერიალური აქტივებისათვის. სასარგებლო სიცოცხლე შეიძლება მნიშვნელოვნად შეიცვალოს ტექნიკური სიახლეების ან სხვა ღონისძიებების შედეგად. ამორტიზაციისა და ამორტიზაციის საფასური გაიზრდება იმ შემთხვევაში, როდესაც სასარგებლო სიცოცხლე ნაკლებია ვიდრე ადრე შეფასებული სიცოცხლე, ან ტექნიკურად მოძველებული ან არა სტრატეგიული აქტივები, რომლებიც მიტოვებულია ან გაიყიდა, ჩამოიწერება ან ჩამოიწერება.

შპს „სპორტმშენსერვისი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

3. ძირითადი საშუალებები

	მინა	დაუმთავრებელი მშენებლობა	შენობები	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სულ
ისტორიული ღირებულება								
31 დეკემბერი 2019	131,512,329	35,488,461	51,886,130	579,878	1,532,568	58,362	21,806	221,079,534
შემოსვლა	-	13,203,870	-	7,322	3,969	-	-	13,215,161
უსასყიდლოდ მიღება	-	-	1,182,911	-	-	-	-	1,182,911
კაპიტალში შემოტანა	254,815	-	162,326	5,797	-	-	-	422,938
სესხის კაპიტალიზაცია	-	132,743	-	-	-	-	-	132,743
კაპიტალიდან გატანა	(28,003,848)	-	(4,349,654)	-	-	-	-	(32,353,502)
გასვლა	-	-	-	-	-	(28,362)	-	(28,362)
31 დეკემბერი 2020	103,763,296	48,825,074	48,881,713	592,997	1,536,537	30,000	21,806	203,651,423
კაპიტალში შემოტანა	123,885	-	11,515	-	-	-	-	135,400
გადაფასება	(207,607)	-	(25,751)	-	-	-	-	(233,358)
შემოსვლა	-	57,684,690	544,336	72,230	7,086	-	356	58,308,698
სესხის კაპიტალიზაცია	-	90,781	-	-	-	-	-	90,781
კაპიტალიდან გატანა	(32,504)	-	(42,029)	-	-	-	-	(74,533)
31 დეკემბერი 2021	103,647,070	106,600,545	49,369,784	665,227	1,543,623	30,000	22,162	261,878,411
დაგროვილი ცვეთა								
31 დეკემბერი 2019	-	-	(24,002)	(1,038)	(425)	(25,526)	(970)	(51,961)
ხარჯი წლის განმავლობაში	-	-	(102,170)	(22,228)	(76,730)	(5,642)	(1,051)	(207,821)
გაყიდული ძირითადი საშუალებების ცვეთა	-	-	-	-	-	26,668	-	26,668
31 დეკემბერი 2020	-	-	(126,172)	(23,266)	(77,155)	(4,500)	(2,021)	(233,114)

შპს „სპორტმშენსერვისი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

ხარჯი წლის განმავლობაში	-	-	(98,836)	(33,082)	(77,058)	(4,500)	(1,104)	(214,580)
გასვლის შედეგად	-	-	-	-	-	-	-	-
ელიმინირებული ცვეთა	-	-	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2021	-	-	(225,008)	(56,348)	(154,213)	(9,000)	(3,125)	(447,694)
წმინდა საბალანსო								
ღირებულება - 31 დეკემბერი 2019	131,512,329	35,488,461	51,862,128	578,840	1,532,143	32,836	20,836	221,027,573
წმინდა საბალანსო								
ღირებულება - 31 დეკემბერი 2020	103,763,296	48,825,074	48,755,541	569,731	1,459,382	25,500	19,785	203,418,309
წმინდა საბალანსო								
ღირებულება - 31 დეკემბერი 2021	103,647,070	106,600,545	49,144,776	608,879	1,389,410	21,000	19,037	261,878,411

2020 წლის 10 მარტს გაფორმდა ხელშეკრულება შპს „სპორტმშენსერვისსა“ და საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს შორის, რომლის მიხედვითაც ამ უკანასკნელმა აიღო ვალდებულება დააფინანსოს კალათბურთში 2021 წლის ევროპის

შპს „სპორტმშენსერვისი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

ჩემპიონატის ფინალური ტურნირის ქ. თბილისის ქვეჯგუფის შეხვედრების გამართვისათვის მულტიფუნქციური სპორტული ობიექტის მშენებლობა. მშენებლობის მნიშვნელოვანი ნაწილი დასრულდა 2021 წლის 31 დეკემბრისათვის, კომპლექსის მშენებლობა სრულად დასრულდა 2022 წლის ივნისში. ხელშეკრულების მიხედვით შპს „სპორტმშენსერვისი“ მშენებლობისათვის საჭირო თანხების დაფინანსებას იღებს კაპიტალური ტრანსფერის სახით. ამასთან, მშენებლობის დასრულების შემდეგ კომპანია სამშენებლო სამუშაოების შედეგად მიღებულ ობიექტს გადასცემს საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, რის შემდეგად ეს უკანასკნელი შეიტანს აღნიშნულ ობიექტს კომპანიის კაპიტალში.

ზემოთმოცემული ხელშეკრულების ფარგლებში 2021 წლის განმავლობაში კომპანიამ მიიღო 46,789,580 ლარის (2020: 25,241,460 ლარი) კაპიტალური ტრანსფერი, რომლითაც განხორციელდა ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურეობის დაფინანსება, მოხდა საავანსო და მიმდინარე ანგარიშსწორება სამშენებლო კონტრაქტორთა და დაიფარა ამავე მშენებლობის დაფინანსებისათვის მიღებული სესხი.

გარდა ამისა, 2021 წელს დამოუკიდებელი ხელშეკრულების ფარგლებში 901,274 ლარის (2020: 541,023 ლარი) ოდენობის კაპიტალური ტრანსფერით დაფინანსდა თელავსა და ბათუმში არსებულ დაუმთავრებელ სპორტის სასახლეებში იატაკის დაგება და თბილისის ჭიდაობის სასახლის მშენებლობისთვის დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება.

შპს „სპორტმშენსერვისი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

4. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი, 2021	31 დეკემბერი 2020
სავაჭრო მოთხოვნები	1,485,103	1,069,663
გაუფასურების ანარიცხი სავაჭრო მოთხოვნებზე	(4,840)	(4,840)
სულ ფინანსური მოთხოვნები	1,480,263	1,064,823
გადახდილი ავანსები	9,307	28,378,157
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,489,570	29,442,980

გადახდილი ავანსების დეტალური მოძრაობა ნაჩვენებია ქვემოთ:

ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	8,394,080
ავანსის გაცემა	25,422,000
ავანსის გაქვითვა შესრულებულ სამუშაოში	(5,437,923)
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	28,378,157
ავანსის გაცემა	72,644
ავანსის გაქვითვა შესრულებულ სამუშაოში	(28,441,494)
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	9,307

5. ფული და ფულის ექვივალენტები

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	601	2,294
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	12,330,463	5,198,147
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	258,806	280,328
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	12,589,869	5,480,769

რეზიდენტ ბანკებში არსებული ფულისა და ფულის ექვივალენტების დეტალური ინფორმაცია ნაჩვენებია ქვემოთ:

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
მიმდინარე ანგარიში	979,058	9,243
მოკლევადიანი დეპოზიტები	11,610,211	5,469,232
სულ ფული და ფულის ექვივალენტები რეზიდენტ ბანკში	12,589,269	5,478,475

მოკლევადიანი დეპოზიტები განთავსებულია „ხალიკ ბანკში“, სს „საქართველოს ბანკსა“ და სს „ტერა ბანკში“.

ხალიკ ბანკში დეპოზიტი განთავსებულია ლარში წელს საპროცენტო შემოსავალმა შეადგინა 115,753 ლარი. საპროცენტო განაკვეთი დეპოზიტზე შეადგენს 13%-ს.

შპს „სპორტმშენსერვისი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

სს „საქართველოს ბანკში“ დეპოზიტი განთავსებულია ლარში. წლის განმავლობაში გენერირებულმა საპროცენტო შემოსავალმა შეადგინა 469,796 ლარი. (2020: 502,835 ლარი). საპროცენტო განაკვეთი დეპოზიტზე შეადგენს 8%-ს.

სს „ტერა ბანკში“ დეპოზიტი განთავსებულია დოლარში. წლის განმავლობაში გენერირებულმა საპროცენტო შემოსავალმა შეადგინა 2,711 ლარი. (2020: ლარი და დოლარი; ლარი - 5,748 ლარი; დოლარი - 6,026 ლარი).

ფულისა და ფულის ექვივალენტების რეალურ ღირებულებასა და საბალანსო ღირებულებას შორის არ არის არსებითი სხვაობა.

6. კაპიტალი

2020 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია სახელმწიფო (203840433) ხოლო წილის მმართველი საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო.

ინფორმაცია კაპიტალში შენატანების შესახებ წარმოდგენილია ქვემოთ:

შენატანის ტიპი		შენატანის მოცულობა
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		218,810,189
2020 წელი	არაფულადი შენატანი	327,376
	კაპიტალის შემცირება	
2020 წელი	არაფულადი აქტივის	(32,257,941)
	გატანის გზით	
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		186,379,624
2021 წელი	არაფულადი შენატანი	135,400
	კაპიტალის შემცირება	
2021 წელი	არაფულადი აქტივის	(74,534)
	გატანის გზით	
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		186,440,491

კაპიტალის ზრდისა და შემცირების შემთხვევებში ინდივიდუალურად ხდება არაფულადი აქტივის სამართლიანი ღირებულების შეფასება დამოუკიდებელი, ლიცენზირებული შემფასებლის მიერ.

2021 და 2020 წლების განმავლობაში კომპანიას არ გაუცია დივიდენდები.

შპს „სპორტმშენსერვისი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

7. მიღებული სესხები

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
ძირითადი თანხა	-	9,961,562
გადასახდელი პროცენტი	-	109,041
სულ მიღებული სესხები	-	10,070,603

მიღებული სესხების პირობები ნაჩვენებია ქვემოთ:

გამსესხებელი	დასასრული	საპროცენტო განაკვეთი	ვალუტა	31 დეკემბერი 2020
სს ვითიბი ბანკი ჯორჯია	04-05-2021	9,4%	ლარი	9,977,772

მიღებული სესხების დეტალური რეკონსილაცია ნაჩვენებია ქვემოთ:

	2021	2020
ნაშთი 1 იანვრის მდგომარეობით	10,070,603	-
სესხის აღება	-	9,977,772
საპროცენტო ხარჯი (კაპიტალიზებული დაუმთავრებელ მშენებლობაზე)	74,572	109,041
სესხის გაცემის საკომისიო ხარჯი (კაპიტალიზებული დაუმთავრებელ მშენებლობაზე)	16,209	23,701
ძირითადი თანხის გადახდა	(9,977,772)	-
პროცენტის გადახდა	(183,612)	-
სესხის გაცემის საკომისიო ხარჯის გადახდა	-	(39,911)
ნაშთი 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	10,070,603

8. საგადასახადო აქტივები

საგადასახადო აქტივებმა 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგინა 2,249,141 ლარი (2020: 2,475,990 ლარი;)

2016 წლის 1 იანვრიდან შემოსავლების სამსახურის ერთიან ელექტრონულ საინფორმაციო ბაზაში თითოეული გადასახადის ჭრილში გახსნილი გადასახადის გადამხდელთა პირადი აღრიცხვის ბარათები გაერთიანდა და აღნიშნული თარიღიდან ყველა გადასახადისათვის არსებობს მხოლოდ ერთიანი გადასახადის გადამხდელის პირადი აღრიცხვის ბარათი, სადაც აისახება ინფორმაცია ყველა გადასახადის მიხედვით სალდირებულიად.

შპს „სპორტმენსერვისი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

9. შემოსავლები

	2021	2020
მომსახურება	1,241,030	480,131
ტანვარჯიშის არენა	164,562	52,059
სტადიონები	608,254	378,286
აუზი	869,630	278,908
იჯარა	240,304	330,284
მიწის იჯარა	397	-
ბათუმის სასახლე	63,403	-
ინფრასტრუქტურა	48,305	-
ფრენბურთიდან მიღებული შემოსავალი	-	9,767
სხვა შემოსავალი	23,337	27,299
სულ შემოსავლები*	3,259,221	1,556,734

* კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სპორტული მოედნების, არენების, სპორტული კომპლექსების, სტადიონებისა და აუზის გაქირავება

კომპანია იჯარით გაცემულ ქონებას აკლასიფიცირებს, როგორც ძირითად საშუალებას, რადგან იჯარის თანმდევი მომსახურება არის არსებითი.

შემოსავლების ზრდის ძირითად მიზეზს წარმოადგენს ის, რომ კოვიდ-19-ის ეფექტები მნიშვნელოვნად შემცირდა მიმდინარე წლისათვის.

10. გამომუშავებული შემოსავლის თვითღირებულება

	2021	2020
შრომის ანაზღაურება	1,070,418	974,342
ცვეთა და ამორტიზაცია	133,254	105,755
კომუნიკაციის ხარჯები	845,314	424,317
სხვა საერთო ხარჯი	11,781	43,149
სულ გამომუშავებული შემოსავლის თვითღირებულება	2,060,767	1,547,563

11. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2021	2020
შრომის ანაზღაურება	1,513,302	1,357,576
საგადასახადო ხარჯი	266,090	501,878
დაცვის ხარჯი	133,932	131,187
ცვეთა და ამორტიზაცია	84,447	104,902

შპს „სპორტმშენსერვისი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

რემონტის ხარჯი	365,579	96,959
სამეურნეო ხარჯი	36,317	31,626
სოციალური დანარიცხები	36,647	31,442
კომუნალური ხარჯი	43,540	22,470
ერთჯერადი მომსახურეობა	13,037	14,195
ავტოსატრანსპორტო ხარჯი	19,854	10,203
მოგების გადასახადი	423	7,542
მივლინება	7,409	2,062
სხვა საერთო ხარჯი	87,194	43,855
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	2,607,771	2,355,897

სხვა საერთო ხარჯი მოიცავს 2021 წელს აუდიტორული მომსახურების ხარჯს 23,644 ლარის (2020: 8,286 ლარის) ოდენობით

12. წმინდა ფინანსური შემოსავალი / (ხარჯი)

	2021	2020
საპროცენტო შემოსავალი	588,262	508,583
კურსთაშორის სხვაობის წმინდა მოგება / (ზარალი)	(16,990)	66,263
სულ წმინდა ფინანსური შემოსავალი / (ხარჯი)	571,272	574,846

2021 და 2020 წლების განმავლობაში მიღებული კურსთაშორის სხვაობის წმინდა მოგება / (ზარალი) ფინანსური ანგარიშგების მუხლების დონეზე სრულად განაწილებულია ფულსა და ფულის ექვივალენტებზე.

13. მოგების გადასახადი

2021 წლის განმავლობაში კომპანიას არ გაუცია დივიდენდები, შესაბამისად, განაწილებულ მოგებაზე მოგების გადასახადის ხარჯმა შეადგინა 0 ლარი.

2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა საქართველოს საგადასახადო კოდექსში მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომლებიც ძირითადად ეხება მოგების გადასახადით დაბეგვრას, სხვა დაბეგვრის რეჟიმებთან ერთად, ცვლილებებში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პუნქტი არის ის, რომ დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება და რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით, ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან,

კომპანია საკუთარ ფინანსურ ანგარიშგებაში არ აღიარებს პირობითი მოგების გადასახადის ვალდებულებას, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას მომავალ პერიოდებში მოგების განაწილების დროს.

შპს „სპორტმენსერვისი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

14. წმინდა არასაოპერაციო მოგება / (ზარალი)

წმინდა არასაოპერაციო მოგება / (ზარალი) 2021 წლის განმავლობაში მოიცავს კაპიტალურ ტრანსფერს 1,442,296 ლარის ოდენობით;

წმინდა არასაოპერაციო მოგება / (ზარალი) 2020 წლის განმავლობაში მოიცავს აქტივების უსასყიდლო მიღების შედეგად მიღებულ არასაოპერაციო მოგებას 1,182,911 ლარის ოდენობით;

15. სამართლიანი ღირებულება და რისკების მართვა

(ა) ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულების შეფასების მიზანია მაქსიმალურად ზუსტი ფასის განსაზღვრა, რომელიც მიღებული იქნება აქტივის გაყიდვისგან ან გადახდილი იქნება ვალდებულების გადაცემისთვის ნორმალური ოპერაციების ფარგლებში ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების თარიღისას, თუმცა, შეფასების სუბიექტურობიდან გამომდინარე, სამართლიანი ღირებულება არ უნდა იყოს ინტერპრეტირებული, როგორც შესრულებადი აქტივის დაუყოვნებლივ გაყიდვისას ან ვალდებულებების გადაცემისას, კომპანიამ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება განსაზღვრა შეფასების მეთოდის გამოყენებით, შეფასების მეთოდის მიზანია სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა, რომელიც ასახავს ფასს, რომელიც მიღებული იქნება აქტივის რეალიზაციიდან ან გადახდილი იქნება ვალდებულების გადასაცემად ბაზრის მონაწილეებს შორის ნორმალური ოპერაციების ფარგლებში შეფასების თარიღით, შეფასების გამოყენებული მეთოდია დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდელი, ყველა ფინანსური აქტივისა და ვალდებულების რეალური ღირებულების გამოთვლა ხდება მომავალი ძირითადი და საპროცენტო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების საფუძველზე, დისკონტირებული ანგარიშგების თარიღისთვის არსებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით,

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები არ განსხვავდება მათი რეალური ღირებულებებისგან,

(ბ) ფინანსური რისკის მართვა

ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან გამომდინარე, კომპანიაზე ვრცელდება შემდეგი სახის რისკები:

- **საკრედიტო რისკი:** ალბათობა, რომ მსესხებელი ვერ შეძლებს გადაიხადოს მთლიანი სესხი ან მისი ნაწილი, ან ვერ შეძლებს სესხის დროულად დაფარვას, რაც გამოიწვევს ზარალს კომპანიისთვის;
- **ლიკვიდურობის რისკი:** რისკი, რომ კომპანიას არ ექნება, ან ვერ ამოიღებს ნაღდ ფულს საჭირო დროს და ამის შედეგად აღმოჩნდება სირთულეების წინაშე ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულების თვალსაზრისით,;
- **საბაზრო რისკი:** რისკი, რომ საბაზრო ფასების ცვალებადობის შედეგად შეიცვლება ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება ან ფულადი სახსრების მომავალი ნაკადები სამართლიანი ღირებულების თვალსაზრისით, ძირითადად, კომპანია

შპს „სპორტმენსერვისი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

ექვემდებარება საბაზრო რისკის ორ კომპონენტს:

- საპროცენტო რისკი;
- სავალუტო რისკი,

ექვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ნაშთები კატეგორიების მიხედვით:

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
ფინანსური აქტივები		
ფული და ფულის ექვივალენტები	12,589,269	5,478,475
სავაჭრო მოთხოვნები	1,480,263	1,064,823
სულ ფინანსური აქტივები	14,069,532	6,543,298
ფინანსური ვალდებულებები		
მიღებული სესხები	-	10,070,603
სავაჭრო ვალდებულებები	153,026	50,208
სულ ფინანსური ვალდებულებები	153,026	10,120,811

i. რისკების მართვის სტრუქტურა

კომპანიის მენეჯმენტს სრული პასუხისმგებლობა ეკისრება კომპანიის რისკების მართვის სისტემის დანერგვასა და ზედამხედველობაზე,

კომპანიის რისკის მართვის პოლიტიკა განისაზღვრება კომპანიაზე რისკების გავლენის განსაზღვრისა და ანალიზის მიზნით, რისკის შესაბამისი ფარგლებისა და საკონტროლო მექანიზმების დასადგენად, ასევე რისკისა და მისი ფარგლების მონიტორინგისათვის, რისკის მართვის პოლიტიკა და სისტემა რეგულარულად გადაიხედება მიმდინარე საბაზრო მდგომარეობისა და კომპანიის საქმიანობაში ცვლილებების გასათვალისწინებლად, რისკების მართვა ხორციელდება მენეჯმენტის მიერ კომპანიის საოპერაციო ერთეულებთან ერთად, კომპანიის საოპერაციო სიმარტივიდან გამომდინარე, არ არსებობს წერილობითი პოლიტიკა ბიზნეს რისკების იდენტიფიცირებისა და მათი მართვის შესახებ.

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
ფინანსური აქტივები		
ფული და ფულის ექვივალენტები	12,589,269	5,478,475
სავაჭრო მოთხოვნები	1,480,263	1,064,823
სულ ფინანსური აქტივები	14,069,532	6,543,298

ii. საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის კომპანიის ფინანსური ზარალის რისკი, ერთი მხარის მიერ მეორე მხარის მიმართ ფინანსური ვალდებულებების არ შესრულების შემთხვევაში,

შპს „სპორტმშენსერვისი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

კომპანიის მაქსიმალური ზემოქმედება საკრედიტო რისკზე, ძირითადად, აისახება ბალანსზე არსებული ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებებში.

iii. ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის იმის რისკი, რომ სუბიექტს გაუძნელდება ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულება, ლიკვიდურობის რისკი ეხება ფინანსური ვალდებულებების უზრუნველსაყოფად საკმარისი სახსრების არსებობას, რომლებიც უკავშირდება ფინანსურ ინსტრუმენტებს მათი დაფარვის ვადის დადგომისას, ლიკვიდურობის რისკი არსებობს მაშინ, როცა აქტივებისა და ვალდებულებების დაფარვის ვადები ერთმანეთს არ ემთხვევა,

ლიკვიდურობის ცხრილი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	1 წელზე ნაკლები	1 დან 5 წლამდე	5 და მეტი ვადით	სულ
ფული და ფულის ექვივალენტები	12,589,269	-	-	12,589,269
სავაჭრო მოთხოვნები	1,480,263	-	-	1,480,263
სულ ფინანსური აქტივები	14,069,532	-	-	14,069,532
მიღებული სესხები	-	-	-	-
სავაჭრო ვალდებულებები	153,026	-	-	153,026
სულ ფინანსური ვალდებულებები	153,026	-	-	153,026
ლიკვიდურობის პოზიცია	13,916,506	-	-	13,916,506

ლიკვიდურობის ცხრილი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	1 წელზე ნაკლები	1 დან 5 წლამდე	5 და მეტი ვადით	სულ
ფული და ფულის ექვივალენტები	5,478,475	-	-	5,478,475
სავაჭრო მოთხოვნები	1,064,823	-	-	1,064,823
სულ ფინანსური აქტივები	6,543,298	-	-	6,543,298
მიღებული სესხები	10,070,603	-	-	10,070,603
სავაჭრო ვალდებულებები	50,208	-	-	50,208
სულ ფინანსური ვალდებულებები	10,120,811	-	-	10,120,811
ლიკვიდურობის პოზიცია	(3,577,513)	-	-	(3,577,513)

ლიკვიდურობის რისკის მართვისათვის კომპანია ინარჩუნებს ფულადი რეზერვების ადეკვატურ დონეს და ახდენს სასესხო შესაძლებლობების მოძიებას, ამავდროულად, ახდენს მიმდინარე და სამომავლო ფულადი ნაკადების მონიტორინგს და ცდილობს ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების დაფარვის ვადების დამთხვევას,

შპს „სპორტმენსერვისი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

iv. საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი წარმოადგენს საბაზრო ფასების ცვალებადობის რისკს, რაც მოიცავს კურსთაშორისი განაკვეთების, საპროცენტო განაკვეთების და კაპიტალის ღირებულების ცვალებადობის რისკს, რამაც შესაძლოა იმოქმედოს კომპანიის შემოსავალზე ან მის მიერ ფინანსური ინსტრუმენტების ფლობაზე, საბაზრო რისკების მართვის მიზანია საბაზრო რისკების საფრთხის მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების საფუძველზე ამონაგების ოპტიმიზაციის ფონზე,

სავალუტო რისკი

უცხოური ვალუტის რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის მომავალი ფულადი ნაკადების რეალური ღირებულება შეიცვლება საკურსო სხვაობის განაკვეთების ცვლილებების გამო, კომპანიის განფენილობა საკურსო სხვაობის განაკვეთების ცვლილების რისკის მიმართ ძირითადად უკავშირდება აშშ დოლარში დენომინირებულ ფინანსურ აქტივებს,

საკრედიტო რისკის განფენილობა

ვალუტის რისკის გათვალისწინებით, მენეჯმენტი განსაზღვრავს შეზღუდვას ვალუტის ზემოქმედების დონის მიხედვით და მთლიანობაში, კომპანიის უცხოური ვალუტის რისკის განფენილობა იყო შემდეგი:

2021 წლის 31

დეკემბერი

	ფინანსური აქტივები	ფინანსური ვალდებულებები	წმინდა პოზიცია
აშშ დოლარი	258,806	-	258,806

2020 წლის 31

დეკემბერი

	ფინანსური აქტივები	ფინანსური ვალდებულებები	წმინდა პოზიცია
აშშ დოლარი	280,328	-	280,328

სენსიტიურობის ანალიზი

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია მოგების და ბარალის და კაპიტალის სენსიტიურობა სავალუტო კურსის გონივრულ შესაძლო ცვლილებებზე, რომელიც გამოიყენება ბალანსის თარიღში, იმ პირობით, რომ ყველა სხვა ცვლადი დარჩებოდა უცვლელი:

	31 დეკემბერი 2021 ზეგავლენა მოგება-ბარალზე
აშშ დოლარის 10%-ით გამყარება	25,881
აშშ დოლარის 10%-ით გაუფასურება	(25,881)

შპს „სპორტმშენსერვისი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

31 დეკემბერი 2020

ზეგავლენა მოგება-ზარალზე

აშშ დოლარის 10%-ით გამყარება	28,033
აშშ დოლარის 10%-ით გაუფასურება	(28,033)

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის ცვალებადობა ძირითადად აისახება სესხების რეალურ ღირებულებაზე (სესხი ფიქსირებული განაკვეთით) ან მათი მომავალი ფულადი სახსრების მოძრაობაზე (სესხი ცვალებადი განაკვეთით), ხელმძღვანელობას არ აქვს ოფიციალური პოლიტიკა განსაზღვროს კომპანიის რა ოდენობის განფენილობა უნდა იყოს ფიქსირებული ან ცვალებადი განაკვეთით.

(გ) კაპიტალის რისკის მართვა

კომპანია კაპიტალის მართვით აუმჯობესებს თავის უნარს გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ და ამ გზით უზრუნველყოს აქციონერებისა და სხვა დაინტერესებული პირებისთვის შესაბამისი სარგებლის გადაცემა; ამავდროულად კაპიტალის მართვით კომპანია ინარჩუნებს კაპიტალის ოპტიმალურ სტრუქტურას, რითაც ამცირებს კაპიტალის ღირებულებას,

კაპიტალი შედგება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში განმარტებული მთლიანი კაპიტალისა და წმინდა ვალდებულებებისგან, რომელიც ამ მიზნებისათვის განიმარტება, როგორც სხვაობა მიღებულ სესხებსა და ფულისა და ფულის ექვივალენტებს შორის,

კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნებისა ან/და შეცვლის მიზნით კომპანია ცვლის აქციონერებისადმი გადასახდელი დივიდენდის მოცულობას, უშვებს ახალ აქციონერებს ან ვალდებულებების შემცირების მიზნით ყიდის აქტივებს.

კომპანიის კაპიტალის რისკის მართვის პოლიტიკა უცვლელია 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული ფინანსური წლის შემდეგ.

16. პირობითი ვალდებულებები და გაუთვალისწინებელი გარემოებები

დაბეგვრის გაუთვალისწინებელი გარემოებები

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და მას ახასიათებს სასამართლო გადაწყვეტილებებისა და დებულებების ხშირი ცვლილება, საგადასახადო ნორმები ხშირად ბუნდოვანი და წინააღმდეგობრივია და სხვადასხვა საგადასახადო ორგანოს მიერ სხვადასხვაგვარად განიმარტება, საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, საგადასახადო ორგანოს არ შეუძლია კომპანიას დააკისროს დამატებითი საგადასახადო ვალდებულება, ჯარიმა ან საურავი, თუ სამართალდარღვევიდან სამი წელია გასული,

გემოთხსენებული ვითარებები წარმოქმნის საგადასახადო რისკებს, რომლებიც საქართველოში უფრო არსებითია, ვიდრე სხვა ქვეყნებში, ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ იგი ადეკვატურად ასრულებს საგადასახადო ვალდებულებებს, ხელმძღვანელობს რა საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის

შპს „სპორტმშენსერვისი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

ინტერპრეტაციების, ოფიციალური აქტებისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების შესაბამისად, მიუხედავად ამისა, შესაბამისი საგადასახადო ორგანოების კომპანიისგან განსხვავებულმა პოზიციამ შესაძლოა არსებითი გავლენა იქონიოს წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე.

აქტივის შეძენის ვალდებულებები

კომპანიას აქვს ვალდებულება, კონტრაქტორის მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შედგენილი დოკუმენტაციის წარდგენის შემთხვევაში შეიძინოს კონტრაქტით გათვალისწინებული ძირითადი საშუალებები. 2021 წლის განმავლობაში შესყიდულია 55,421,443 ლარის (დღგ-ის ჩათვლით) (2020 - 15,375,489 ლარი) ღირებულების სამუშაოები, ხოლო საკონტრაქტო ღირებულება შეადგენს 70,800,000 ლარს.

17. დაკავშირებული მხარეები

დაკავშირებული მხარეები არიან კომპანიის მფლობელები, საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები და უმაღლესი რანგის მენეჯმენტი.

დაკავშირებულმა მხარეებმა შესაძლოა დადონ გარიგებები, რომლებსაც არ დადებდნენ არადაკავშირებულ მხარეებთან და განახორციელონ ტრანზაქციები, რომლებზეც არ იმოქმედებს ის პირობები, რომლებიც იმოქმედებდა არადაკავშირებულ მხარეებთან.

დაკავშირებულ მხარეთა პოტენციური კავშირის დასადგენად ყურადღება ექცევა გარიგების და ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმას.

(ა) მფლობელები

2021 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია სახელმწიფო (203840433) ხოლო წილის მმართველი საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო.

„ბასს 24“-ის 25-ე პუნქტის მიხედვით: ანგარიშვალდებული საწარმო განთავისუფლდება ინფორმაციის გამჟღავნების შესახებ მე-18 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნებისგან, თუ დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები და დაუფარავი ნაშთები, მათ შორის ვალდებულებები, ეხება:

ა) სახელმწიფოს, რომელიც აკონტროლებს ან ერთობლივად აკონტროლებს ანგარიშვალდებულ საწარმოს, ან მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ანგარიშვალდებულ საწარმოზე;

შესაბამისად, კომპანიას არ განუცხადებია საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან განხორციელებული ოპერაციებისა და დაუფარავი ნაშთების შესახებ ინფორმაცია ფინანსური ანგარიშგებების შენიშვნებში.

(ბ) უმაღლესი რანგის მენეჯმენტის ანაზღაურება

წლის განმავლობაში უმაღლესი რანგის მენეჯმენტის მიერ მიღებულმა ანაზღაურებამ და მოკლევადიანმა სარგებელმა შეადგინა:

შპს „სპორტმენსერვისი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

	2021	2020
ხელფასი, ბონუსი და სხვა სარგებელი	224,967	210,415

18. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მომხდარი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ აღგილი ქონდა შემდეგ მნიშვნელოვან მოვლენებს:

- 2022 წლის განმავლობაში კომპანიამ კაპიტალური ტრანსფერის სახით მიიღო 15,646,547 ლარი;
- 2022 წლის განმავლობაში კომპანიის კაპიტალში შეტანილი ძირითადი საშუალებების ღირებულებამ შეადგინა 16,765,600 ლარი, კაპიტალიდან გატანილი ძირითადი საშუალებების ღირებულებამ - 38,517.62 ლარი.

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობაზე

შპს „სპორტმენსერვისი“-ს მფლობელს და მენეჯმენტს

ჩვენ ჩავატარეთ თანდართული 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის საანგარიშგებო პერიოდის მმართველობის ანგარიშის მიმოხილვა, რომელიც მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშებისა და აუდიტის შესახებ კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად (შემდგომში - „საკანონმდებლო მოთხოვნები“)

მმართველობის ანგარიშის მომზადებასა და მის საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობაზე პასუხისმგებელია კომპანიის მენეჯმენტი, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი მმართველობის ანგარიშის მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ჩვენი პასუხისმგებლობაა მიმოვიხილოთ მმართველობის ანგარიში და გამოვთქვათ მოსაზრება რამდენად შესაბამისობაშია საკანონმდებლო მოთხოვნებთან და რამდენად თანხვედრაშია 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან. იმ შემთხვევაში თუ მმართველობის ანგარიში არ არის შესაბამისობაში საკანონმდებლო მოთხოვნებთან და არ არის თანხვედრაში ფინანსურ ანგარიშგებასთან ჩვენი პასუხისმგებლობაა, რომ განვაცხადოთ ამის შესახებ გამოცემულ დასკვნაში. ჩვენ მიერ შესრულებული სამუშაო შემოიფარგლება მხოლოდ: კომპანიის ხელმძღვანელობისა და პერსონალის გამოკითხვით, ანალიტიკური პროცედურების ჩატარებით, მმართველობისა და ფინანსური ანგარიშგების შედარებით და თანხვედრის განსაზღვრით და იმ დოკუმენტების მიმოხილვით რაც მომზადდა იმისთვის, რომ კომპანია ყოფილიყო შესაბამისობაში საკანონმდებლო მოთხოვნებთან. ჩვენ არ განგვიხორციელებია რაიმე სახის მმართველობის ანგარიშის მოსამზადებლად დანერგილი კონტროლის სისტემის სპეციალური მიმოხილვა და არ გამოვთქვამთ რაიმე სახის მოსაზრებას მმართველობის ანგარიშის მოსამზადებლად დანერგილი შიდა კონტროლის ეფექტურობაზე.

ჩვენ მიერ ჩატარებული მიმოხილვისას, ჩვენი ყურადღება არ მიუქცევია ფაქტებს, რაც დაგვარწმუნებდა, რომ მმართველობის ანგარიში არ არის თანხვედრილი აუდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან არ არის შესაბამისი ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნებთან, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

შპს „არესემ საქართველო“

გარიგების პარტნიორი: პაატა ჩუბინიძე

2022 წლის 13 ივნისი

RSM Georgia85, Z.Paliashvili str
Tbilisi 0162, Georgia

T +995 (32) 255 88 99

F +995 (32) 255 88 99

www.rsm.ge

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობაზე

შპს „სპორტმენსერვისი“-ს მფლობელს და მენეჯმენტს

ჩვენ ჩავატარეთ თანდართული 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის საანგარიშგებო პერიოდის მმართველობის ანგარიშის მიმოხილვა, რომელიც მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშებისა და აუდიტის შესახებ კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად (შემდგომში - „საკანონმდებლო მოთხოვნები“)

მმართველობის ანგარიშის მომზადებასა და მის საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობაზე პასუხისმგებელია კომპანიის მენეჯმენტი, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი მმართველობის ანგარიშის მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ჩვენი პასუხისმგებლობაა მიმოვიხილოთ მმართველობის ანგარიში და გამოვთქვათ მოსაზრება რამდენად შესაბამისობაშია საკანონმდებლო მოთხოვნებთან და რამდენად თანხვედრაშია 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან. იმ შემთხვევაში თუ მმართველობის ანგარიში არ არის შესაბამისობაში საკანონმდებლო მოთხოვნებთან და არ არის თანხვედრაში ფინანსურ ანგარიშგებასთან ჩვენი პასუხისმგებლობაა, რომ განვაცხადოთ ამის შესახებ გამოცემულ დასკვნაში. ჩვენ მიერ შესრულებული სამუშაო შემოიფარგლება მხოლოდ: კომპანიის ხელმძღვანელობისა და პერსონალის გამოკითხვით, ანალიტიკური პროცედურების ჩატარებით, მმართველობისა და ფინანსური ანგარიშგების შედარებით და თანხვედრის განსაზღვრით და იმ დოკუმენტების მიმოხილვით რაც მომზადდა იმისთვის, რომ კომპანია ყოფილიყო შესაბამისობაში საკანონმდებლო მოთხოვნებთან. ჩვენ არ განგვიხორციელებია რაიმე სახის მმართველობის ანგარიშის მოსამზადებლად დანერგილი კონტროლის სისტემის სპეციალური მიმოხილვა და არ გამოვთქვამთ რაიმე სახის მოსაზრებას მმართველობის ანგარიშის მოსამზადებლად დანერგილი შიდა კონტროლის ეფექტურობაზე.

THE POWER OF BEING UNDERSTOOD
AUDIT | TAX | CONSULTING

ჩვენ მიერ ჩატარებული მიმოხილვისას, ჩვენი ყურადღება არ მიუქცევია ფაქტებს, რაც დაგვარწმუნებდა, რომ მმართველობის ანგარიში არ არის თანხვედრილი აუდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან არ არის შესაბამისი ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნებთან, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

შპს „არესემ საქართველო“
გარიგების პარტნიორი: პაატა ჩუბინიძე
2022 წლის 13 ივნისი

RSM Georgia
S. Chubiniძე

შ.პ.ს. „სპორტმშენსერვისი“-ს მმართველობის ანგარიში

1. შ.პ.ს. „სპორტმშენსერვისი“-ს შესახებ:

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „სპორტმშენსერვისი“ (შემდგომში - „სპორტმშენსერვისი“) არის მეწარმე სუბიექტი იგი შექმნილია მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, რომელმაც სახელმწიფო რეგისტრაცია შესაბამისი წესით, სამეწარმეო რეესტრში გაიარა ვაკე-საბურთალოს სასამართლოს 1999 წლის 22 ოქტომბრის გადაწყვეტილებით. მისი დამფუძნებელი და კაპიტალში წილის 100%-ის მესაკუთრე პარტნიორია სახელმწიფო, წარმოდგენილი საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სახით.

საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 15 მარტის №15/03/06 განკარგულებისა და 2013 წლის 25 მარტის ხელშეკრულების საფუძველზე საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს გადაეცა სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული „სპორტმშენსერვისის“ 100% წილი მართვის უფლებით.

„სპორტმშენსერვისი“ არ წარმოადგენს საბიუჯეტო ორგანიზაციას, მისი საქმიანობა ძირითადად რეგულირდება მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონით, საკუთარი წესდებითა და სხვა მოქმედი კანონმდებლობით, რომელიც არეგულირებს იურიდიული პირების (სახელმწიფოს 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების) უფლებებსა და მოვალეობებს.

„სპორტმშენსერვისის“ კაპიტალის ფორმირება ხორციელდება პარტნიორის შენატანებით და საკუთარი აქტივობების მეშვეობით.

2. საწესდებო კაპიტალი (2013-2021 წლები)

„სპორტმშენსერვისის“ საწესდებო კაპიტალი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა 186 450 216,72 ლარს.

შპს „სპორტმშენსერვისის“ საწესდებო კაპიტალის დინამიკა

#	თარიღი	მიღება	გასვლა	პერიოდის ნაშთი	ტიპი	ტერიტორიული ერთული	საკადასტ რო კოდი
#	თარიღი	მიღება	გასვლა	პერიოდის ნაშთი	ტიპი	ტერიტორიული ერთული	საკადასტ რო კოდი
	ნაშთი 01.01.2013			1,180,822.29			
1	11.04.2013		22,608.62	1,158,213.67	ქონება	თბილისი	

2	11.04.2013		7,706.04	1,150,507.63	ქონება	თბილისი	
3	11.04.2013		25,641.60	1,124,866.03	ქონება	თბილისი	
4	26.08.2013	6,500,000.0 0		7,624,866.03	თანხა	თბილისი	
5	29.11.2013	131,550.00		7,756,416.03	ქონება	თბილისი	01.14.07.0 08.014
6	31.12.2013	5,000,000.0 0		12,756,416.03	თანხა	თბილისი	
7	31.12.2013	20,522.40		12,776,938.43	ქონება	თბილისი	01.14.07.0 08.014
8	31.12.2013	1,204.13		12,778,142.56	ქონება	თბილისი	01.14.07.0 08.014
9	31.12.2013	8,786.89		12,786,929.45	ქონება	თბილისი	01.14.07.0 08.014
10	02.04.2014	-	19,108.28	12,767,821.17	ქონება	თბილისი	01.14.07.0 08.014
11	07.04.2014	5,372,170.0 0	-	18,139,991.17	ქონება	თბილისი	01.14.06.0 06.031
12	16.05.2014	568,525.00	-	18,708,516.17	ქონება	თბილისი	01.72.14.0 09.330
13	09.06.2014	-	5,993.17	18,702,523.00	ქონება	თბილისი	01.14.07.0 08.014
14	13.01.2014	6,002.86		18,708,525.86	ქონება	თბილისი	01.14.07.0 08.014
15	24.09.2014	8,000,000.0 0	-	26,708,525.86	თანხა		
16	30.12.2014	8,000,000.0 0	-	34,708,525.86	თანხა		
17	18.03.2015	7,000,000.0 0	-	41,708,525.86	თანხა		

18	21.04.2015	-	78,450.00	41,630,075.86	ქონება	თბილისი	01.72.14.0 09.330
19	07.09.2015	236,614.90	-	41,866,690.76	ქონება	თელავი	53.20.31.5 31
20	07.09.2015	918,000.00	-	42,784,690.76	ქონება	ბათუმი	05.25.12.0 08
21	28.12.2015	3,141,771.2 5	-	45,926,462.01	ქონება	ქუთაისი	03.01.22.2 62
22	31.12.2015	2,000,000.0 0	-	47,926,462.01	თანხა		
23	11.01.2016	706,834.80	-	48,633,296.81	ქონება	რუსთავი	02.01.05.8 30
24	29.02.2016	11,700,000. 00	-	60,333,296.81	თანხა		
25	29.09.2016	-	30,647.13	60,302,649.68	ქონება	თბილისი	01.14.07.0 08.014
26	10.10.2016	133,800.41	-	60,436,450.09	ქონება	თელავი	53.20.31.5 66
27	10.10.2016	45,530.60	-	60,481,980.69	ქონება	თელავი	53.20.31.5 70
28	02.10.2016		918,000.00	59,563,980.69	ქონება	ბათუმი	05.25.12.0 08
29	29.12.2016	1,392,238.8 0	-	60,956,219.49	ქონება	ბათუმი	05.26.12.0 05
30	29.12.2016	1,218,500.0 0	-	62,174,719.49	თანხა		
31	13.02.2017		506,134.49	61,668,585.00	ქონება	თბილისი	01.14.07.0 08.014
32	20.02.2017	14,169,282. 00		75,837,867.00	თანხა		

33	18.05.2017		310,713.98	75,527,153.02	ქონება	თელავი	53.20.31.5 31; 53.20.31.5 66; 53.20.31.5 70
34	25.05.2017	-	792,234.00	74,734,919.02	ქონება	ბათუმი	05.26.12.0 05
35	08.08.2017	10,935,622. 50	-	85,670,541.52	თანხა		
36	26.12.2017	10,000,000. 00		95,670,541.52	თანხა		
37	21.12.2018	300,000.00		95,970,541.52	თანხა		
38	21.12.2018	19,871,671. 00		115,842,212.52	ქონება	თბილისი	01.72.14.0 09.331
39	21.12.2018	14,605,605. 00		130,447,817.52	ქონება	თბილისი	01.72.14.0 09.333
40	21.12.2018	4,178,543.0 0		134,626,360.52	ქონება	თბილისი	
41	21.12.2018	6,156,523.0 0		140,782,883.52	ქონება	თბილისი	
42	20.03.2019	2,567,743.0 0		143,350,626.52	ქონება	თბილისი	01.72.14.0 13.662
43	05.06.2019	2,046,685.0 0		145,397,311.52	ქონება	თბილისი	01.72.14.0 09.548
44	05.06.2019	3,433,310.0 0		148,830,621.52	ქონება	თბილისი	01.72.14.0 09.552
45	03.07.2019	-	46,376.00	148,784,245.52	ქონება	თბილისი	01.14.07.0 08.014
46	03.07.2019	-	22,577.46	148,761,668.06	ქონება	თბილისი	

47	07.08.2019	26,436,642.00	-	175,198,310.06	ქონება	თბილისი	01.72.14.0 09.551
48	07.08.2019	6,456,332.25	-	181,654,642.31	ქონება	თბილისი	01.72.14.0 09.551
49	07.08.2019	402,240.00	-	182,056,882.31	ქონება	თბილისი	01.19.23.0 21.073
50	07.08.2019	9,520.00	-	182,066,402.31	ქონება	თბილისი	
51	19.08.2019	13,933,152.00	-	195,999,554.31	ქონება	თბილისი	01.72.14.0 09.545
52	19.08.2019	22,426,848.00	-	218,426,402.31	ქონება	თბილისი	01.72.14.0 09.555
53	18.09.2019	-	31,443.59	218,394,958.72	ქონება	თბილისი	01.14.07.0 08.014
54	18.09.2019	-	15,307.25	218,379,651.47	ქონება	თბილისი	
55	27.11.2019	-	340,170.00	218,039,481.47	ქონება	თბილისი	14.14.06.0 06.031
56	27.11.2019	280,433.20	-	218,319,914.67	ქონება	რუსთავი	02.01.05.8 30
57	02.03.2020		8,785.30	218,311,129.37	ქონება	თბილისი	
58	02.03.2020		18,050.60	218,293,078.77	ქონება	თბილისი	
59	02.03.2020	5,797.00		218,298,875.77	ქონება	თბილისი	
60	14.08.2020		987,268.00	217,311,607.77	ქონება	რუსთავი	02.01.05.8 30
61	31.08.2020		19,871,671.00	197,439,936.77	ქონება	თბილისი	01.72.14.0 09.331
62	31.08.2020		4,178,543.00	193,261,393.77	ქონება		01.72.14.0 09.331
63	15.10.2020		3,141,771.25	190,119,622.52	ქონება	ქუთაისი	03.01.22.2 85

64	27.12.2020	-	3,730,272.27	186,389,350.25	ქონება	თბილისი	01.72.14.0 09
65	24.08.2021	-	11,272.08	186,378,078.17	ქონება	თბილისი	01.14.07.0 08.014
66	24.08.2021	-	32,504.00	186,345,574.17	ქონება	თბილისი	01.14.07.0 08.014
67	08.09.2021	-	21,653.78	186,323,920.39	ქონება	თბილისი	01.14.07.0 08.014
68	07.12.2021	-	9,103.67	186,314,816.72	ქონება	თბილისი	01.14.07.0 08.014
69	14.12.2021	11,515.00	-	186,326,331.72	ქონება	კასპი	67.17.36.0 58
70	14.12.2021	123,885.00	-	186,450,216.72	ქონება	კასპი	67.17.36.0 58

3. ვაკის სამდარბაზიანი სპორტკომპლექსი

ვაკის 3 დარბაზიანი სპორტკომპლექსი (საკ.კოდი 01.14.07.008.014) აშენებულია და ექსპლუატაციაში შესულია 90-იან წლებში. იგი არის თანასაკუთრებაში. მიწის ფართი შეადგენს - 9 134.00 კვ/მ-ს, ხოლო შენობა-ნაგებობის ფართი - 5413.8 კვ/მ.-ს. „სპორტმშენსერვისის“ ბალანსზე რიცხული ფართებიდან ძირითადი ნაწილი აუქციონის წესით გაცემულია იჯარით. ფართების შეფასებას ახორციელებს დამოუკიდებელი აუდიტორი და მასზე დაყრდნობით „სპორტმშენსერვისი“ იღებს გადაწყვეტილებას საბაზრო ღირებულების დაწესებასთან დაკავშირებით. აუქციონზე გატანის ნებართვას „სპორტმშენსერვისს“, რა თქმა უნდა აძლევს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო“.

4. ელექტრონული აუქციონები 2014-2021 წლებში

აქვე მოცემულია წლებისა და ობიექტების მიხედვით ელექტრონულ აუქციონებზე ინფორმაცია:

2014 წელი - ელ. აუქციონი გამოცხადდა 16 ჯერ გაიჯარდა (სამდარბაზიან სპორტ - ში):
საოფისე - 726.49 კვ/მ; სპორტ. დარბაზი, გასახდელი - 1 258.52 კვ/მ; სამრეცხაო - 56 კვ/მ;
ავტოფარეხი - 734.9 კვ/მ.

2015 წელი - ელ. აუქციონი გამოცხადდა 15 ჯერ გაიჯარდა (სამდარბაზიან სპორტ - ში): საოფისე - 1 333.38 კვ/მ; სპორტ. დარბაზი, გასახდელი - 1 030.01 კვ/მ.

2016 წელი - ელ. აუქციონი გამოცხადდა 9 ჯერ გაიჯარდა (სამდარბაზიან სპორტ - ში): საოფისე - 288.87 კვ/მ ; სპორტ. დარბაზი, გასახდელი - 460 კვ/მ; ავტოფარეხი - 536.63 კვ/მ; გაიჯარდა (ოლიმპიურ სასახლეში): საოფისე - 135.54 კვ/მ; კაფე, სამზარეულო - 205.1 კვ/მ; კომერც. საქმიანობისათვის - 10 კვ/მ გაიჯარდა (ოლიმპიურ აუზზე): საოფისე - 19.3 კვ/მ; კაფე, სამზარეულო 247.7 კვ/მ; კომერც. საქმიანობისათვის - 1 კვ/მ.

2017 წელი - ელ. აუქციონი გამოცხადდა 6 ჯერ გაიჯარდა (სამდარბაზიან სპორტ - ში): საოფისე - 532.47 კვ/მ; სპორტ. დარბაზი, გასახდელი - 290 კვ/მ; გაიჯარდა (ოლიმპიურ აუზზე): საოფისე - 54.02 კვ/მ.

2018 წელი - ელ. აუქციონი გამოცხადდა 2 ჯერ გაიჯარდა (სამდარბაზიან სპორტ - ში): საოფისე - 30.24 კვ/მ; გაიჯარდა (ოლიმპიურ სასახლეში): საოფისე - 21.94 კვ/მ, აპარატების დასადგმელად - 9 კვ/მ.

2019 წელი - ელ. აუქციონი გამოცხადდა 52 ჯერ. გაიჯარდა (სამდარბაზიან სპორტ - ში): საოფისე 258.15 კვ/მ; სპორტული დარბაზი 290.00 კვ/მ. გაიჯარდა (ოლიმპიურ სასახლეში): საოფისე 21.92 კვ/მ; ავტოსადგომი 1460 კვ/მ; აპარატების განსათავსებლად 1.5 კვ/მ. გაიჯარდა (ოლიმპიურ აუზზე): ფართი კომერციული საქმიანობისათვის 31.9 კვ/მ; შენობისა და გარე პერიმეტრის ლოკაციაზე 322.5 კვ/მ ფართი კაფისა და სამზარეულოს მოსაწყობად. გაიჯარდა (ტანვარჯიშის დარბაზში): საოფისე 66.58 კვ/მ.

2020 წელი - ელ. აუქციონი გამოცხადდა 13-ჯერ. გაიჯარდა 62.5 კვ/მ (ოლიმპიურ სასახლეში) და 322.5 კვ/მ (ოლიმპიურ აუზზე) კაფისა და სამზარეულოს მოსაწყობად; 635.01 კვ/მ (ვაკის სამდარ. სპორტკომპლექსი) კომერციული საქმიანობისთვის; გაიჯარდა(ოლიმპიური სასახლეში) 29.03 კვ/მ საოფისედ. გაიყიდა 2 ავტომობილი (Mercedes benz E 260 და Volkswagen vento GL 2.0); ასევე გაიყიდა სპექტექნიკა - (ავტომწე EK2-2500)

2021 წელი - ელ. აუქციონი გამოცხადდა 12 ჯერ, კერძოდ:

1. შპს „სპორტმშენსერვის“-ის ბალანსზე რიცხული სამდარბაზიანი სპორტკომპლექსის -6.3 ნიშნულზე არსებულ 535.63 კვ/მ ავტოფარეხის ფართი დამხმარე ოთახებითა და სველი წერტილებით;
2. შპს „სპორტმშენსერვის“-ის ბალანსზე რიცხული სამდარბაზიანი სპორტკომპლექსის -3.00 ნიშნულზე არსებულ 24.00 კვ/მ საოფისე ფართი სველი წერტილებით;
3. შპს „სპორტმშენსერვის“-ის ბალანსზე რიცხული სამდარბაზიანი სპორტკომპლექსის -3 ნიშნულზე არსებულ 565 კვ/მ სპორტული დარბაზის ფართი დამხმარე ოთახებითა და სველი წერტილებით;
4. შპს „სპორტმშენსერვის“-ის ბალანსზე რიცხული სამდარბაზიანი სპორტკომპლექსის მეოთხე სართულზე არსებულ 462.56 კვ/მ საოფისე ფართი საკუთარი სველი წერტილებით;

5. შპს „სპორტმშენსერვის“-ის ბალანსზე რიცხული ოლიმპიური სასახლის მესამე სართულზე (7.80 ნიშნული) არსებულ 21.92 კვ/მ; 21.74 კვ/მ; 21.92 კვ/მ; 33.98 კვ/მ; 49.00 კვ/მ 21.92 კვ/მ; 21.92 კვ/მ საოფისე ფართები საერთო სველი წერტილებით;
6. შპს „სპორტმშენსერვის“-ის ბალანსზე რიცხული სამდარბაზიანი სპორტკომპლექსის მესამე სართულზე არსებულ 34.00 კვ/მ საოფისე ფართი საერთო სველი წერტილებით;
7. შპს „სპორტმშენსერვის“-ის ბალანსზე რიცხული სამდარბაზიანი სპორტკომპლექსის მესამე სართულზე არსებულ 49.28 კვ/მ საოფისე ფართი საერთო სველი წერტილებით;
8. შპს „სპორტმშენსერვის“-ის ბალანსზე რიცხული სამდარბაზიანი სპორტკომპლექსის მესამე სართულზე არსებულ 16.44 კვ/მ საოფისე ფართი საერთო სველი წერტილებით;
9. შპს „სპორტმშენსერვის“-ის ბალანსზე რიცხული ოლიმპიური აუზის შენობის პირველ სართულზე არსებულ 31.9 კვ/მ ფართი კომერციული საქმიანობისთვის (სპორტული საქონლის; ინვენტარისა და აქსესუარების მაღაზია);
10. შპს „სპორტმშენსერვის“-ის ბალანსზე რიცხული ოლიმპიური აუზის შენობისა და გარე პერიმეტრის სხვადასხვა ლოკაციაზე არსებულ ფართი, კაფისა და სამზარეულოს მოსაწყობათ (ნაწილობრივი ავეჯით) - სულ 213.5 კვ/მ;
11. შპს „სპორტმშენსერვის“-ის ბალანსზე რიცხული ოლიმპიური სასახლის მეხუთე სართულზე (15.60 ნიშნული) არსებულ 29.03 კვ/მ; 36.02 კვ/მ; 36.42 კვ/მ; 36.02 კვ/მ; 36.42 კვ/მ 36.02 კვ/მ; 36.42 კვ/მ საოფისე ფართები სველი წერტილებით;
12. შპს „სპორტმშენსერვის“-ის ბალანსზე რიცხული (ღია მოედნების მიმდებარედ) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 9 კვ/მ მიწის ფართი (აღნაგობის უფლების გარეშე) შემდგომში, აღნიშნულ მიწის ფართზე მსუბუქი კონსტრუქციის გადასატანი სავაჭრო ჯიხურის განთავსების მიზნით.

5. ოლიმპიური ობიექტების მშენებლობა

2013 წლის მეორე ნახევარში შ.პ.ს. „სპორტმშენსერვისის“ დამფუძნებლის (სახელმწიფო), საქართველოს მთავრობის შესაბამისი დადგენილებით მიღებულ იქნა გადაწყვეტილება თბილისის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის „თბილისი 2015“-ის ფარგლებში განხორციელებულიყო ორი მასშტაბური სამშენებლო პროექტი სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით. საუბარია ოლიმპიურ აუზსა და ოლიმპიურ სასახლეზე. ზემოაღნიშნული პროექტების განხორციელება დამფუძნებლისვე გადაწყვეტილებით დაევალა შ.პ.ს. „სპორტმშენსერვისს“, რისთვისაც საქართველოს მთავრობის განკარგულებით მოხდა შესაბამისი ფულადი სახსრების გამოყოფა ორგანიზაციის კაპიტალის გაზრდის მიზნით.

6. „თბილისი არენა“

2019 წლიდან სამინისტროს დავალებით შპს „სპორტმშენსერვისმა“ ქ. თბილისში უნივერსიტეტის ქუჩაზე დაიწყო ახალი ათიათასკაციანი მულტიფუნქციური დარბაზის მშენებლობა, რომელიც უმასპინძლებს ევრო 2022 წლის ჩემპიონატს კალათბურთში. პროექტს ხელმძღვანელობას და ინსპექტირებას სრულად შპს „სპორტმშენსერვისი“ უწევს.

„თბილისი არენა“ წარმოადგენს მულტიფუნქციურ ერთდარბაზიან შენობას, რომელიც გათვლილია 10 000 მაყურებელზე. 1500 კვადრატული მეტრის დარბაზი ასევე აღჭურვილია 6 გასახდელითა და საშხაპით; 4 მწვრთნელების ოთახით; სატრენაჟორო დარბაზით; 2 ექიმის ოთახით; 2 საკონფერენციო დარბაზით; 1 სპორტსმენთა მოსასვენებელი ოთახით; დოპინგ კონტროლის ოთახით; ჰიგიენის თანამშრომელთა და ტექნიკური სათავსოების ოთახებით.

„თბილისი არენა“-ში ასევე გამოყოფილია რამდენიმე სივრცე:

- ა) მასმედიის ტერიტორიები მოიცავს შემდეგს:
 1. მასმედიის სამუშაო ოთახი;
 2. პრესკონფერენციის ოთახი;
 3. შერეული ზონა;
 4. მასმედიის ქეითერინგის ტერიტორია;
 5. მასმედიის ტრიბუნა სივრცე;
 6. სივრცე კომენტარების გასაკეთებლად;
 7. გრძელი სკამები ფოტოგრაფებისთვის;
 8. ტელეკავშირების სპეც მანქანების პარკინგი მასმედიისთვის.
- ბ) VIP სივრცე;
- გ) ჩემპიონატის ჩასატარებლად საჭირო ადმინისტრაციული ტერიტორიები;
- დ) კომფორტის ზონები
ჩამონათვალი:
 - (1) ვიპ ლაუნჯი
 - (2) ვვიპ ლაუნჯი
 - (3) ლოჟები (skybox)
 - (4) კორპორატიული კომფორტის ზონის ლაუნჯი
- ე) მოხალისეთა სივრცეები;

- ვ) უსაფრთხოების სივრცეები;
- ზ) 2 კაფე - თითო უნდა ემსახურებოდეს 100 ადამიანს
- თ) ადმინისტრაციული ტერიტორია;

„თბილისის არენა“ აღჭურვილია: 14 ერთეული სალაროთი, ლიფტებით, ტაბლოებით, ვიდეო ეკრანებით, დინამიკებით, 300 კაციანი ავტოსადგომით.

ზემოაღნიშნული ობიექტი როგორც უკვე ვახსენეთ მულტიფუნქციურ დარბაზს წარმოადგენს. იგი აღჭურვილია უმაღლესი სტანდარტის თანამედროვე ტექნიკით. აქედან გამომდინარე შეგვიძლია ვუმასპინძლოთ სხვადასხვა სახის სპორტულ ღონისძიებებს მაგ: კალათბურთი, ფუტბალი, ხელბურთი, ფრენბურთი, ჩოგბურთი.

2022 წელს დაგეგმილია უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო ღონისძიებები, ისეთი როგორიც არის:

1. 11 ივნისი - „თბილისი არენის“ გახსნა და უკრაინის მხარდასაჭერი საქველმოქმედო კონცერტი;
2. 4 ივლისი - საქართველო-ესპანეთი - ამხანაგური მატჩი კალათბურთში;
3. 15-25 ივლისი - კალათბურთის ევროპის შესარჩევი მატჩები;
4. 1-7 სექტემბერი - „ევრობასკეტ 2022“-ის მატჩები.

7. „ოლიმპიური სასახლე“

ოლიმპიური სასახლე აშენდა 2015 წელს თბილისში ჩატარებული ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის ფარგლებში.

პირველ რიგში გვინდა მოგახსენოთ ოლიმპიური სასახლის ექსპლუატაციის კონცეფციის შესახებ, რომელიც წარმოადგენს ორდარბაზიან სპორტულ კომპლექსს სასარგებლო ფართობით - 15 509.98 კვ/მ. ჩვენს მიერ მშენებლობის პროცესშივე დაიწყო ბაზრის მოკვლევა და შესწავლა, რის შემდეგაც დაიგეგმა სტრატეგია ობიექტის შემდგომი განვითარების მიზნით. განხორციელდა არაერთი შეხვედრა სხვადასხვა სპორტულ ფედერაციებთან და დაინტერესებულ სეგმენტთან, რის შედეგადაც 2015 წლის სექტემბრის ბოლოს უკვე გაჩნდა პირველი კონტრაქტორები და დაიწყო შენობის დატვირთვა. 2015 წლის ბოლო კვარტლის შედეგების თანახმად ოლიმპიურმა სასახლემ შემოსავლის კუთხით 311 700 ლარიან ნიშნულს მიაღწია. 2015 წლის ბოლოსვე შევძელით გვემასპინძლა ისეთი დონის საერთაშორისო ტურნირისთვის როგორიცაა ფარიკაობის მსოფლიო თასი.

თანამედროვე სტანდარტების დაცვით აშენებულ ოლიმპიურ სასახლეში ორი დარბაზია მოწყობილი, სადაც ერთდროულად შესაძლებელია სპორტის სხვადასხვა სახეობების ტურნირების ჩატარება, როგორც სათამაშო, ასევე ინდივიდუალურ სახეობებში – ხელბურთში, კალათბურთში, ფრენბურთში, ძიუდოში, ჭიდაობაში, მინი-ფეხბურთში, ფარაიკაობაში და ა.შ.

დიდი დარბაზი 2700 გულშემატკივარს, მცირე კი 600 გულშემატკივარს იტევს. ორივე დარბაზი აღჭურვილია გასახდელეებით, საშხაპეებით, სამედიცინო და დოპინგ-კონტროლის ოთახებით. სპორტულ კომპლექსში ასევე განთავსებულია:

- 150 ადამიანზე გათვლილი VIP ლაუნჯი,
- 100-120 ადამიანზე გათვლილი საკონფერენციო ოთახი,
- 80-100 ადამიანზე გათვლილი მედიაოთახი,
- სივრცე კვების ობიექტისთვის
- სასტუმრო (9 ნომერი)
- სპორტულ კომპლექს აქვს საკუთარი, 260 მანქანაზე გათვლილი პარკინგი.

აღსანიშნავია რომ კომპლექსი მასპინძლობს ღონისძიებების ისეთ სახეობებს, რომელთათვის სპეციალური ლოკაციები არის მოწყობილი, მაგალითად:

- ჩოგბურთი (კორტები);
- ევროვიზია და სხვა და სხვა საკონცერტო სადამოები (მუსიკალური დაწესებულებები)
- ძიუდოს გრან პრი (ძიუდოს აკადემია)

8. ოლიმპიური აუზი

„ოლიმპიური აუზი“ (საკ.კოდი 01.72.14.009.354) აშენდა 2015 წელს, თბილისში ჩატარებული ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის ფარგლებში. შესაბამისად ის აკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტებს და მომხმარებელს უმაღლესი ხარისხის მომსახურებას სთავაზობს, როგორც სპორტული ტურნირების ორგანიზების, ასევე დამსვენებელთა მიღების კუთხით. აუზის მიწის ფართი შეადგენს - 19 603.00 კვ/მ, შენობა-ნაგებობის ფართი - I-II სართული 5 069.3 კვ/მ, ღია აუზის - 2375 კვ/მ, აუზის გარე პერიმეტრი - 2250 კვ/მ, დამხმარე ფართი I სართულზე -640 კვ/მ და საქვაბე 157 კვ/მ-ს.

საცურაო კომპლექსი აერთიანებს ორ ღია ტიპის აუზს და ერთ დახურულ „საწყუმპალაოს“ ბავშვებისათვის. კომპლექსის ტერიტორიაზე განთავსებულია ორი სხვადასხვა ზომის

სპორტული დარბაზი . აქვე მოცემულია მათი ზომები: ღია აუზი - 50*25მ და 35*25მ; საბავშვო დახურული აუზი - 12*3მ; ხოლო დარბაზის - 300 კვმ. და 144 კვმ. აუზში

ოლიმპიურ აუზს აქვს შესაძლებლობა უმასპინძლოს საწყალოსნო სპორტის ნებისმიერ სახეობას. ღია აუზების გარშემო განთავსებულია ტრიბუნები, რომლებიც გათვლილია 2160 მაყურებელზე. ზემოაღნიშნული მომსახურება ითვალისწინებს შშმ პირებსაც. ასევე ადმინისტრაციული შენობის პირველ და მეორე სართულზე განთავსებულია 15-მდე საოფისე და საკონფერენციო ოთახი, ხოლო კომპლექსის გარე ნაწილში 8 სასაწყობო ოთახი. აუზის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს ღია და დახურული კაფე-ბარი.

ოლიმპიური აუზი თავისი შინაარსით წარმოადგენს სპეციფიურ ობიექტს იმის გათვალისწინებით რომ ძირითადი აუზები ღია ტიპისაა და მათი მომსახურება განსაკუთრებულ ძალისხმევას მოითხოვს.

ოლიმპიურმა აუზმა როგორც ზემოთ მოგახსენეთ ღირსეულად უმასპინძლა 2015 წლის ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალს, ხოლო სეზონური ფუნქციონირება 2016 წლის ივნისიდან დაიწყო.

დასაქმებულ პირთა დინამიკა:

9. ტანვარჯიშის არენა

2018 წელს ტანვარჯიშის არენა დამფუძნებლის მიერ შეტანილ იქნა შ.პ.ს. „სპორტმშენსერვისი“-ს კაპიტალში. იგი აერთიანებს 2 დახურულ დარბაზს.

ასევე ტანვარჯიშის არენაზე ფუნქციონირებს ბავშვთა შემსწავლელი ჯგუფები: მხატვრული და სპორტული ტანვარჯიში, აკრობატიკა და ბატუტზე ხტომა. აღნიშნულ ჯგუფებს ამზადებენ სერთიფიცირებული აღმზრდელები შესაბამის სახეობაში.

ტანვარჯიშის არენაზე დამონტაჟებულია ტურნიკეტის დაშვების სისტემა,

ტანვარჯიშის არენის დარბაზებისთვის დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ ბაზრის მოკვლევის პრინციპით დადგინდა მომსახურეობების მინიმალური ღირებულებები სხვადასხვა შეთავაზებებზე, ხოლო „სპორტმშენსერვისის“ მენეჯმენტის მიერ განისაზღვრა მომსახურეობების შეთავაზების საბოლოო ფასები, სადაც სრულად გავითვალისწინეთ სოციალური საკითხი და ფასები განისაზღვრა გაცილებით დაბალი ვიდრე კონკურენტებისა. გარდა ამისა უმნიშვნელოვანესი იყო მომსახურების დონის მაღალი სტანდარტი უნდა გამოხატულიყო სავარჯიშო ინვენტარის ხარისხსა და ჰიგიენის ნორმების უმკაცრეს დაცვაში, უსაფრთხოების მაღალ დონეში და ასევე სხვა მომსახურეობების მაღალ სტანდარტში. სწორედ ამ ფაქტორების გათვალისწინებით აუცილებელი გახდა კვალიფიციური კადრების დასაქმება

და ორივე მხარისთვის მისაღები შრომის ანაზღაურების გადახდა. „სპორტმშენსერვისის“ თითოეული თანამშრომლის ჩართულობით და დაუღალავი შრომის ხარჯზე მიღწეულ იქნა ზემოჩამოთვლილი მოთხოვნები.

10. ფრენბურთის არენა

2018 წელს ფრენბურთის არენა დამფუძნებლის მიერ შეტანილ იქნა შ.პ.ს. „სპორტმშენსერვისი“-ს კაპიტალში. იგი აერთიანებს ორ დარბაზს.

ფრენბურთის დარბაზს ჩაუტარდა სარეაბილიტაციო სამუშაოები, რათა შეძლებული საერთაშორისო ღონისძიებების ჩატარება.

ფრენბურთის არენის დარბაზებისთვის დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ ბაზრის მოკვლევის პრინციპით დადგინდა მომსახურეობების მინიმალური ღირებულებები სხვადასხვა შეთავაზებებზე, ხოლო „სპორტმშენსერვისის“ მენეჯმენტის მიერ განისაზღვრა მომსახურეობების შეთავაზების საბოლოო ფასები, სადაც სრულად გავითვალისწინეთ სოციალური საკითხი და ფასები განისაზღვრა გაცილებით დაბალი ვიდრე კონკურენტებისა. ფრენბურთის დარბაზებში მიმდინარე წელს ჩატარდა არაერთი საერთაშორისო ტურნირი.

2020 წლის ბოლოსთვის მოხდა ფრენბურთის დარბაზის კაპიტალიდან ამოღება.

11. ფეხბურთისა და რაგბის ხელოვნური და ბუნებრივი ღია სტადიონები

2019 წლის აგვისტოს დამფუძნებლის მიერ შეტანილ იქნა შ.პ.ს. „სპორტმშენსერვისი“-ს კაპიტალში 7 ერთეული მოედანი: 3 ბუნებრივსაფარიანი და 1 ხელოვნურსაფარიანი ფეხბურთის მოედანი და 1 ბუნებრივსაფარიანი და 2 ხელოვნურსაფარიანი რაგბის მოედანი. აქვე მოცემულია 2019 წლის პერიოდის შემოსავლები:

აღნიშნულ მოედნებს ჭირდებათ სპეციფიური მოვლა-პატრონობა, დავიქირავეთ სპეცტექნიკა და პროფესიონალი კადრები, მენეჯმენტის ძალისხმევით მოხდა მოედნების საექსპლუატაციო მდგომარეობამდე მიყვანა. როგორც ზემოთ მითითებული დარბაზებისა, დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ ბაზრის მოკვლევის პრინციპით დადგინდა მოედნების მომსახურეობების მინიმალური ღირებულებები სხვადასხვა შეთავაზებებზე, ხოლო „სპორტმშენსერვისის“ მენეჯმენტის მიერ განისაზღვრა მომსახურეობების შეთავაზების საბოლოო ფასები, სადაც სრულად გავითვალისწინეთ სოციალური საკითხი და ფასები განისაზღვრა გაცილებით დაბალი ვიდრე კონკურენტებისა.

სამომავლოდ დაგეგმილი სიახლეები

შპს სპორტმშენსერვისის ყველა ლოკაციის მომხმარებლისათვის კომფორტის შესაქმნელად, ვიზიტორების მოსაზიდად და შესაბამისად ფინანსური მოგების გაზრდის მიზნით საჭიროა კომპლექსების კეთილმოწყობა, სტადიონების სრული დატვირთვით ფუნქციონირებისათვის აუცილებელია რიგი ინფრასტრუქტურული სამუშაოების ჩატარება, კერძოდ სტადიონებზე მოსაწყობია გასახდელები საშხაპეებით, რისთვისაც აუცილებელია კომუნიკაციების მიყვანა. ასევე სტადიონების მოსავლელად აუცილებელია სხვადასხვა სახის შესყიდვის განხორციელება. რაც შეეხება დახურულ სასახლეებს, მათი სრულად დატვირთვისა და შესაბამისად შემოსავლის გაზრდის მიზნით, კომპანიის მენეჯმენტი განაგრძობს მუშაობას რათა მოახდინოს საქართველოში დაგეგმილი ადგილობრივი თუ საერთაშორისო, სპორტული თუ არასპორტული ღონისძიებებისა და შესაბამისად მათთან დაკავშირებული აქტივობების მოზიდვა. პანდემიური სიტუაციის გათვალისწინებით, შ.პ.ს. „სპორტმშენსერვისი“ მაქსიმალურად ცდილობს ბალანსზე რიცხული ყველა ობიექტი სრულად დატვირთოს და მომხმარებლებს შესთავაზოს მაღალი სტანდარტის მომსახურეობა როგორც ობიექტების აღჭურვილობის, ასევე დასაქმებული პერსონალის სახით.

გთხოვთ, იხილოთ ფინანსური ანგარიშგების მე-16 განმარტებითი შენიშვნა, სადაც წარმოდგენილია ინფორმაცია სუბიექტის ფინანსური (საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდურობის) რისკების შესახებ და ამ რისკების მართვის მექანიზმების შესახებ.

შპს სპორტმშენსერვისის

დირექტორი:

გერონტი ცინდელიანი

სამომავლოდ დაგეგმილი სიახლეები

შპს სპორტმშენსერვისის ყველა ლოკაციის მომხმარებლისათვის კომფორტის შესაქმნელად, ვიზიტორების მოსაზიდად და შესაბამისად ფინანსური მოგების გაზრდის მიზნით საჭიროა კომპლექსების კეთილმოწყობა, სტადიონების სრული დატვირთვით ფუნქციონირებისათვის აუცილებელია რიგი ინფრასტრუქტურული სამუშაოების ჩატარება, კერძოდ სტადიონებზე მოსაწყობია გასახდელები საშხაპეებით, რისთვისაც აუცილებელია კომუნიკაციების მიყვანა. ასევე სტადიონების მოსავლელად აუცილებელია სხვადასხვა სახის შესყიდვის განხორციელება. რაც შეეხება დახურულ სასახლეებს, მათი სრულად დატვირთვისა და შესაბამისად შემოსავლის გაზრდის მიზნით, კომპანიის მენეჯმენტი განაგრძობს მუშაობას რათა მოახდინოს საქართველოში დაგეგმილი ადგილობრივი თუ საერთაშორისო, სპორტული თუ არასპორტული ღონისძიებებისა და შესაბამისად მათთან დაკავშირებული აქტივობების მოზიდვა. პანდემიური სიტუაციის გათვალისწინებით, შ.პ.ს. „სპორტმშენსერვისი“ მაქსიმალურად ცდილობს ბალანსზე რიცხული ყველა ობიექტი სრულად დატვირთოს და მომხმარებლებს შესთავაზოს მაღალი სტანდარტის მომსახურება როგორც ობიექტების აღჭურვილობის, ასევე დასაქმებული პერსონალის სახით.

გთხოვთ, იხილოთ ფინანსური ანგარიშგების მე-16 განმარტებითი შენიშვნა, სადაც წარმოდგენილია ინფორმაცია სუბიექტის ფინანსური (საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდურობის) რისკების შესახებ და ამ რისკების მართვის მექანიზმების შესახებ.

შპს სპორტმშენსერვისის

დირექტორი:



გერონტი ცინდელიანი